საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 24 აპრილი. 2023 წ. №45 (9577) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქიზებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

საქართველოს პროკურატურა:

მსოფლიოს ტრანსნაციონალური დანაშაულობანი აზანზარებენ!



იხ. 4 გვ.

საქართველოს პროკურატურაში, 2022 წელს, ტრანსნაციონალური, ე.წ. თაღლითური ქოლცენტრების და ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე პირთა გამოვლენის მიზნით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გერმანულ მხარესთან თანამშრომლობის შედეგად, პროკურატურის მიერ დამატებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ათეულობით ფიზიკური და რამდენიმე იურიდიული პირის მიმართ, რომელთაც ბრალდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე წარედგინათ.

ჩვენი ხელისუფლება მომავალშიც დაიცავს სამშობლოს, ეკლესიას და ეროვნულ ფასეულობებს

ირაკლი კობახიძე:

იხ. 4 გვ.

ამერიკის ელჩმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ის საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ არ ცნობს

„სტრატეგიული პარტნიორის“ სანქციები და „პრომეთეს ორდენი“...

ფრთხილად ქართველებო, ტერიტორიები კიდევ არ დავკარგოთ!

იხ. 6 გვ.

კელი დეგნანისთვის უსამართლობა არის... სამართალი!!!

იხ. 3 გვ.

როდესაც პოლიციელი გაჩერებს

რა უნდა ვიცოდეთ საკუთარი უფლებების შესახებ

მინდია სალუქვაძე

5

გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, გამორჩეული ადამიანი

შალვა მჭედლიშვილი:

რაა სიცოცხლე, თუნდაც ერთ მწვერვალს თუ წამით ფეხი არ დააბიჯე!



7

...და არაფერი, სიმართლის გარდა!



„ქართული ოცნების“ ხელისუფლება არის საქართველოს პირველი ხელისუფლება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რომლის პირობებშიც, ქვეყანას ომი არ ჰქონია. ამასთან, უწყვეტი მშვიდობა „ქართულმა ოცნებამ“ შეინარჩუნა რეგიონში არსებული ურთულესი გეოპოლიტიკური ვითარების პირობებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით რთული იყო გასული წელიწადი, როდესაც საქართველოს მეორე ფრონტად ქცევის უშუალო საფრთხე შეექმნა, თუმცა, უმძიმესი წნეხის მიუხედავად, ხელისუფლება ამ გამოწვევასაც ღირსეულად გაუმკლავდა და უმკლავდება;

2012 წელს, უმძიმესი დემოკრატიული უკუსვლის 9-წლიანი პერიოდი უწყვეტი დემოკრატიული წინსვლის 11-მა წელიწადმა ჩაანაცვლა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ 2012 წელს წარსულს ჩააბარა უმძიმესი ავტორიტარული რეჟიმი, ადამიანების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა, მიზნესის რეკეტი, მონოპოლიზებული მედია, პოლიტიკურ კონტროლს დამორჩილებული სასამართლო და უამრავი სხვა მანკიერება. დღეს საქართველოში დაცულია ადამიანის უფლებები, აღიკვეთა ადამიანების წამება და არაადამიანური მოპყრობა, მიზნესი თავისუფალია, როგორც არასდროს, დაცულია სასამართლოს დამოუკიდებლობა, უზრუნველყოფილია მედიაპლურალიზმი;

2012 წელს საქართველო ეკონომიკური განვითარების სწორ გზას დაადგა. გასული 11 წლის განმავლობაში, ქართულ ეკონომიკას ორ გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ კრიზისთან მოუწია გამკლავება. პირველი, ეს იყო რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე ეკონომიკური და სავალუტო კრიზისი, ხოლო მეორე – კოვიდიდან გამომდინარე ეკონომიკური კრიზისი 2020 წელს. თუმცა, რეალური ეკონომიკური თავისუფლების დამკვიდრების, მიზნესის რეკეტის აღკვეთისა და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, საქართველომ სირთულეები წარმატებით დაძლია.

ზედიზედ ბოლო ორი წლის განმავლობაში კი, საქართველოს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ჰქონდა, ლარის კურსი 3,45-დან 2,50-მდე შემცირდა, 60-დან 38 პროცენტამდე შემცირდა ქვეყნის საგარეო ვალი. მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, 2012 წლიდან დღემდე, ქვეყანაში ნახევარმა მილიონმა ადამიანმა დაძლია სიღარიბე – 1,150,000-დან 650,000-მდე შემცირდა სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ადამიანების რაოდენობა. უკვე წელს, საქართველოს ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე 8 ათასი დოლარი გახდება, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის თანახმად, 2030 წლისთვის 15 ათას დოლარს მიაღწევს, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს საშუალოვადიან პერსპექტივაში ევროკავშირის მთელი რიგი ქვეყნების ტოლფასი ეკონომიკა ექნება;

საქართველო დღეს არის დამოუკიდებელი და სუვერენული, როგორც არასდროს. ხელისუფლებას ვეღარავინ კარნახობს და აიძულებს ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ იქნება მიმართული. ხელისუფლება მოქმედებს საქართველოს ეროვნული ინტერესების კარნახით და ამ ინტერესების ხარჯზე კომპრომისს არასოდეს დაუშვებს, მომავალშიც განუხრელად დაიცავს სამშობლოს, ეკლესიას და ეროვნულ ფასეულობებს.

ირაკლი ღარიბაშვილი:

ეს იყო გარდატეხა!

2012 წლის 21 აპრილს გიძინა ივანიშვილმა პირველად წარადგინა ჩვენი პოლიტიკური გუნდი, ეს მოვლენა იქცა უმნიშვნელოვანესი პროცესების დასაწყისად ქართულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

გავიხსენოთ, რომ საქართველოს უახლოეს ისტორიაში ეს იყო ურთულესი პერიოდი. ანტიეროვნულმა, თავისი შინაარსით ანტისახელმწიფოებრივმა და ანტიევროპულმა რეჟიმმა პოლიტიკის უმთავრეს იარაღად აქცია შიში, ტერორი, ჩაგვრა და საკუთარ მოქალაქეებზე ძალადობა. საფრთხის ქვეშ დადგა არა მხოლოდ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, არამედ თითოეული ადამიანის სიცოცხლე, ღირსება და თავისუფლება. საკუთარი ხალხის მოღალატე რეჟიმი ესწრაფოდა ძალაუფლების შენარჩუნებას, თუნდაც ქვეყნის განადგურების ხარჯზე. უნდა ვაღიაროთ, ბევრი ვერ ხედავდა მაშინ გამოსავალს ამ ვითარებიდან.

სწორედ ამ პირობებში შეიქმნა ბატონი გიძინა ივანიშვილის ლიდერობით „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო. ეს იყო არსებითი გარდატეხა ჩვენი სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე. დღევანდელი გადასახედიდან კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ამ საკვანძო გადაწყვეტილებით ჩვენი ქვეყანა სრულ განადგურებას გადაურჩა. დღეს, რეგიონში მიმდინარე მოვლენების ფონზე, უდავოა, რომ სისხლიანი, ანტიეროვნული რეჟიმის პირობებში საქართველო მეორე პოლიგონად გადაიქცეოდა.

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერით, ჩვენ მშვიდობიანად შევცვალეთ ანტისახელმწიფოებრივი რეჟიმი და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დავიწყეთ ეროვნული პოლიტიკის გატარება – სუვერენიტეტის განმტკიცება, მშვიდობისა და სტაბილურობის, მოქალაქეთა თავისუფლების უზრუნველყოფა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს არის ერთადერთი უწყვეტი მშვიდობის პერიოდი, რაც საშუალებას გვაძლევს, მთელი ძალისხმევა მივმართოთ ყველა სფეროს განვითარებისთვის. დღეს სახეზე გვაქვს მნიშვნელოვანი წინსვლა ყველა – კეთილდღეობის, სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიის მიმართულებებით.

მსურს, განსაკუთრებით გამოვყო უდიდესი პროგრესი ევროინტეგრაციის გზაზე, ასოცირების ხელშეკრულებით, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით, უვიზო მიმოსვლითა და ახლა უკვე ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭებით, ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში ჩვენი გაწევრების პროცესმა შეუქცევადი სახე მიიღო.

ყველა ეს მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა „ქართული ოცნების“ თითოეული წევრისა და მხარდამჭერის ერთგულებისა და შრომისმოყვარეობის გარეშე. მადლობას ვუხდი ყველა მათგანს.

განვლილი წლების შეჯამებისას ჩვენი მოტივაცია იგივეა, კიდევ უფრო მეტი შემართებით უნდა გავაგრძელოთ ეროვნული პოლიტიკის გატარება, ზრუნვა ყველაფერზე, რაც ჩვენი თვითმყოფადობისა და ძლიერების საფუძველია – ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება, მშვიდობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური აღორძინება, ჩვენი კულტურის, სარწმუნოების, ტრადიციების დაცვა და განვითარება, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით წინსვლა თითოეული ქართველის უმთავრესი ოცნებისა და მიზნისაკენ – ერთიანი, თავისუფალი და ძლიერი საქართველოსკენ...

საშუალოვადიან პერიოდში გვექნება ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა.

საბჭოს წევრებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, გიორგი ამილახვარმა პროფესიული განათლების განვითარების ხედვა გააცნო, რომელზეც სამინისტრო აქტიურად მუშაობს. ხაზი გაესვა პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის აქტიურად ჩართვისთვის საჭირო მექანიზმების შემუშავების მნიშვნელობას.

სხდომის მონაწილეებმა საქალაქთაშორისო მგზავრთა გადაყვანის რეფორმა განიხილეს, რომლის ფარგლებშიც მოხდება ავტოსადგურებისა და მგზავრთა გადამყვანი ოპერატორების სერტიფიცირება. რეფორმის შედეგად მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდება, ამაღლდება უსაფრთხოების დონე.

საუბარი ასევე შეეხო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ 2022-2028 წლების პროგნოზებს. აღინიშნა, რომ ფართე რეგიონისა და ევროპის ქვეყნებს შორის, საქართველოს ექნება ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა საშუალოვადიან პერიოდში – 2023-2028 წლებში და საშუალოდ 5.0%-ს შეადგენს. საქართველო აჩვენებს მნიშვნელოვან პროგრესს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მნიშვნელობანი გაუმჯობესების თვალსაზრისით და ერთ-ერთი ლიდერია ფართე რეგიონსა და ევროპის ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდის კუთხით. სავალუტო ფონდის პროგნოზის მიხედვით, მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად, ქვეყანაში შემცირდება სიღარიბე, გაიზრდება დასაქმება და მოქალაქეების შემოსავლები.

სხდომაზე ასევე განიხილეს ენერგეტიკული პროექტები და ახალი ინიციატივები, რომელიც მომზადდება და მოკლე დროში წარედგინება მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად.





კელი დეგნანისთვის უსამართლობა არის... სამართალი!!!

„ხალხის ძალა“:

ამერიკის ელჩმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ის საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ არ ცნობს

„მერაბ კოსტავას ეკუთვნის სიტყვები: „საქართველო თავისუფალი გახდება. მაგრამ იცოდეთ, თუ მაშინაც, დამოუკიდებელ ქვეყანაში, თავისუფლებისთვის შეწყვეტთ მრძოლას, ამ თავისუფლებას დაკარგავთ თქვენც და ქვეყანაც“.

საქართველომ 32 წლის წინ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. თუმცა, 32-წლიანი გამოცდილება და განსაკუთრებით, მოლოდროინდელი პოლიტიკური პროცესები გვიჩვენებს, რომ რეალური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მიღწევას კვლავაც სერიოზული მრძოლა სჭირდება.

სამწუხაროდ, ამერიკის ელჩმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ის საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ არ ცნობს. როდესაც ოთხ ქართველ მოსამართლეს ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით, კორუფციაში დებ მრალს და ნაცმოძრაობის კუთვნილ მედიასაშუალებებში გავრცელებული ჭორების საფუძველზე ასანქცირებ, ეს სხვა არაფერია, თუ არა მტრული დამოკიდებულების გამოვლინება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის მიმართ.

სამართლის საყოველთაო პრინციპების თანახმად, მოსამართლე განსაკუთრებული ხელშეუხებლობით სარგებლობს და მისი დასჯა მხოლოდ რთული სამართლებრივი პროცედურისა და უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზეა შესაძლებელი. შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი მოსამართლეებზე განსაკუთრებული სიმძაფრით ვრცელდება. თუმცა, ამერიკის ელჩი ამას არად დაგიდევთ და მოსამართლეებს ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე კორუმპირებულის იარლიყს აწებებს, რაც ჩვენი სახელმწიფოს უხეში შეურაცხყოფაა.

ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტად გაშიშვლდა, როდესაც ქალბატონმა დეგნანმა დავით კეზერაშვილის დაცვა სცადა და განაცხადა, ვიდრე გამოძიება არ დასრულდება, კეზერაშვილის მიერ ევროპელი პენსიონერების ძარცვაზე ვერაფერს გეტყვითო. ანუ უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც ქართველ მოსამართლეებზე რატომღაც არ გავრცელდა, სრულად ვრცელდება დავით კეზერაშვილზე, რომელმაც ქართველი მიზნესმენებისა და ქართული ჯარის ძარცვა არ იკმარა და საკუთარი მრავალმილიონიანი ქონების გაზრდა ევროპელი პენსიონერების ხარჯზე გადაწყვიტა.

აქვე შეგახსენებთ, რომ კეზერაშვილი სამი ინსტანციის სასამართლოს მიერ არის დამნაშავედ ცნობილი და განაჩენის გასაჩივრება სტრასბურგის სასამართლოში მან ვერც კი გაბედა. გამოდის, რომ ამერიკის ელჩისთვის უდანაშაულობის პრეზუმფცია უდანაშაულო მოსამართლეებზე არ ვრცელდება, მაგრამ ოფიციალურად დამნაშავედ ცნობილი კეზერაშვილი, რომელიც საზღვარგარეთ მიმალვაში სწორედ ამერიკული მფარველობის წყალობით იმყოფება, უდანაშაულობის პრეზუმფციის აბსოლუტური პრივილეგიით სარგებლობს. ორეულისეული ფორმულით თუ ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ საელჩოსთვის უსამართლობა არის სამართალი.

ამ ყველაფრიდან ჩანს, რომ საელჩო თავისი ქმედებებით სინამდვილეში არა საქართველოს ინტერესებს, არამედ აგენტურას უფრთხილდება, რათა მას ძალაუფლების დაბრუნების შანსი შეუნარჩუნოს და საელჩომ საქართველოს მართვის სადავეები დაიბრუნოს, ანუ აგენტოკრატია აღადგინოს.

სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ ამერიკის ელჩი ამას სრულად შემდგარ სახელმწიფოს ვერ გაუბედავდა, გაბედვის შემთხვევაში კი, სრულად შემდგარი სახელმწიფო ასეთ ელჩს პერსონა ნონ გრატად გამოაცხადებდა. თუმცა, აშკარაა, რომ ჩვენს სახელმწიფოს დღეს ამის რესურსი ჯერ კიდევ არ აქვს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ელჩის ასეთი დამოკიდებულება უფრო მეტად პრობლემის შედეგია და არა მიზეზი. საქმე ისაა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, საქართველომ საკუთარ თავს ყველა უმედურება დააწია, რაც კი შესაძლებელი იყო.

ამას წინ უძღოდა 70-წლიანი საბჭოთა ავტორიტარული მმართველობა, რომლის ფონზეც სახელმწიფოებრიობას ჩვენი ქვეყანა სრულიად მოუმზადებელი და გამოუცდელი შეხვდა. სწორედ ამ გამოუცდელობის შედეგად, 90-იან წლებში საქართველომ გამოიარა სამი ომი, ეკონომიკის ნგრევა და კორუფცია, რამაც 2003 წელს მიხეილ სააკაშვილს რევოლუციის მოწყობის შესაძლებლობა მისცა, საქართველოს ხელისუფლება კი აგენტურით დაკომპლექტდა.

ასე დავკარგეთ 2003 წელს სახელმწიფო სუვერენიტეტი, რომელსაც 2012 წლიდან ნელ-ნელა ვიბრუნებთ. ეს სუვერენიტეტი ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტია და სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ელჩი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიმართ ესოდენ უხეშ დამოკიდებულებას ავლენს. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ელჩის ამგვარი მოქმედება არის პრობლემის – ჯერ კიდევ სუსტი სუვერენიტეტის – შედეგი და არა მისი მიზეზი. ამასთან, ელჩის უხეში ქმედებების მიზანი სწორედ ისაა, რომ საქართველომ სუვერენიტეტი სრულად არ დაიბრუნოს, რათა აგენტურას ხელისუფლებაში მოსვლის საშუალება კიდევ ერთხელ მიეცეს. ამ მრძოლაში ხელისუფლებამ პრინციპები არ უნდა დათმოს და ჩვენს ქვეყანას სუვერენიტეტი სრულად უნდა აღუდგინოს. ასეთ პირობებში, საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებაში ესოდენ უხეშ ჩარევას მომავალში ვეღარავინ გაბედავს!

21 აპრილი, 2023 წელი.

ახალგაზრდებო, აკეთეთ ქრისტეს საქმე!

„საუკეთესო, მართლაც საუკეთესო ახალგაზრდობა გვყავს, მაგრამ რობოტებივით და ზომბებივით ნუ იქნებიან, აზროვნება ისწავლონ. შეიძლება გეგონოს, ქრისტეს საქმეს აკეთებ და სინამდვილეში ბარაბას საქმეს ემსახურებოდე“, – ამის შესახებ ბოდბის მიტროპოლიტმა **მეუფე იაკობმა** დიდი ხუთშაბათის ღვთისმსახურების შემდეგ ქადაგებისას განაცხადა.

„მარტის აქციების დროს რადიკალებმა დაარწმუნეს ახალგაზრდები, თითქოს ხეს არა მიწაში, არამედ ჰაერში გამოუვიდა ფესვები“

დღემდე დავობენ, რა მოხდა 7-8 მარტის აქციების დროს, ეს იყო მასობრივად შეცდომაში შეყვანილი და ნაცებს აყოლილი ახალგაზრდობის პროტესტი, რომელთა ნაწილიც სიძულვილს ავლენდა თავისი დედაქალაქის და სამართალდამცავების მიმართ და გზად ყველაფერს ანადგურებდა, თუ ეს იყო მამათა და შვილთა დაპირისპირება?! ე.წ. Gen Z თაობის ამბოხი, რომელმაც მამების თაობას ვერ გაუგო და მამებთან დაპირისპირების პრეცედენტი, რომელიც საქართველოს ისტორიისთვის პირველი არ არის.

ცალკეული ადამიანები მიიჩნევენ, რომ სულაც არ არის საჭირო შვილების თაობის გაიდეალება, რაც მარტის ცხელ დღეებში ოპოზიციურად განწყობილი ტელევიზიებიდან ისმოდა და ისეთ რაკურსს სძენდა მოვლენებს, თითქოს მავანს სურდა, ამოფარებოდა ამ ახალგაზრდებს და მათი ხელით მოეღო ბოლო საკუთარი პოლიტიკური გაკოტრებისთვის. ბევრი ფიქრობს, რომ სულაც არ არიან ეს ახალგაზრდები გმირები, უბრალოდ, ყველა თაობას ჰყავს კარგი და ცუდი ახალგაზრდები და ამ თაობის ფეტიშიზაციაც დაუშვებელია.

თვითონ ამ თაობას რომ ჰკითხოთ, მათ მიაჩნიათ, რომ მცდარად ლანძღავენ, რომ ტელეფონებში ქექვის მეტს არაფერს აკეთებენ, სინამდვილეში, ეს თაობა დარწმუნებულია, რომ მამების თაობისგან განსხვავებით, მიწასთან კი არ გაასწორებს საქართველოს, არამედ ინოვაციურ იდეებს, თანასწორობას, სამართლიანობას მოუტანს, რაც წინა თაობებს აკლდათ.

მწერალი **მერაბ შათირიშვილი** მიიჩნევს, რომ მარტის აქციების დროს არავითარი მამათა და შვილთა დაპირისპირება არ ყოფილა. ეს იყო ახალგაზრდების მცდარი შეხედულების გამოყენება, რომელიც დანერგეს მათი აღზრდისა და განათლების პარალელურად.

„საინტერესოა ის ფაქტი, რომ მარტის აქციების დროს გამოყვანილი და შეცდომაში შეყვანილი ახალგაზრდები 9 აპრილის საპროტესტო აქციაზე ლევან ხაბეიშვილის და სააკაშვილის მხარდასაჭერად არ მისულან, სამაგიეროდ, მივიდნენ 7-8 მარტის აქციაზე. ტენდენცია იქითკენაა, რომ მარტის აქციების დროს რადიკალებმა დაარწმუნეს ახალგაზრდები, თითქოს ხე შეიძლება გაიზარდოს ჰაერში, არა მიწაში, არამედ ჰაერში შეიძლება გამოუვიდეს ფესვები. მათაც ეგონათ, რომ ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი აგენტების შესახებ დააზარალებდა მათ სწავლა-განათლებას, მოხდა პროტესტის აგორება და მერე უკვე აზარტში შევიდნენ“, – აცხადებს მერაბ შათირიშვილი For.ge-სთან საუბრისას.

მისივე მოსაზრებით, საერთოდ, ახალგაზრდობას სჩვევია, გორგალივით რომ წამოვა ერთი გუნდა მწვერვალიდან, მერე შეიძლება ამას ზვავი მოჰყვეს. ამის გამოვლინება იყო ის პროტესტიც. გამოვლინდა ისიც, რომ უდიდესი შეცდომა და ხარვეზია განათლების სისტემაში.

თუმცა, მერაბ შათირიშვილის მოლოდინით, ახალგაზრდების 70-80%, ვინც მარტის აქციების დროს გამოვიდა, ნელ-ნელა დარწმუნდება, რომ მათი გამოსვლა მცდარი იყო, მათი გამოსვლა არ იყო ქართული, არ იყო ქვეყნის მომავალზე გათვლილი. თითოეული მათგანისთვის რომ გეკითხათ, ვერ აგიხსნიდნენ, რისთვის გამოვიდნენ. მათი გამოსვლა იყო, რომ არ გვინდა რუსეთი, გვინდა ევროპა.

„ვის უნდა რუსეთი?! ამაზე ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რომ მავანმა ეს ახალგაზრდები ხელახლა არ გამოიყვანოს ქუჩაში“, – მიიჩნევს მერაბ შათირიშვილი.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, პოლიტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** ფიქრობს, რომ მარტის აქციები არ იყო მამათა და შვილთა დაპირისპირება, ეს იყო ხელისუფლების დაპირისპირება მომიტინგეებთან.

„ხელისუფლებამ რატომღაც ჩათვალა, მსუბუქად გადაივლიდა ეს ყველაფერი, მაგრამ მიიღეს ძალიან სერიოზული წინააღმდეგობა. თუ 9 აპრილს დაიღვარა სისხლი, მადლობა ღმერთს, აქ სისხლი არ დაღვრილა, მაგრამ ერთი თვალი დაიკარგა. კობახიძე წინასწარ ამბობს, ლაზარე გრიგორიადისი დამნაშავეაო, საიდან იცის, რომ დამნაშავეა, ჯერ ხომ სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ეს ხომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაა. როდის დაიწვა პოლიციის მანქანა? როცა პოლიციამ დაარბია. 1989 წლის 9 აპრილს ჩემი ძმა სცემდა სამხედროებს, ცხვირ-პირი დაუმტვრიეს, სახლში მოათრია ჩაფხუტები, რეზინის ხელკეტები და ფარები, ამიტომ ჩემი ძმა უნდა დაეპატიმრებინა საბჭოთა არმიას? მაშინაც სხვა გზა არ დაუტოვეს რუსმა სამხედროებმა საქართველოს მოქალაქეებს გარდა იმისა, წინააღმდეგობა გაეწიათ“, – გვითხრა პაატა ზაქარეიშვილმა.

მანანა ნოზაძე

1. ყველასგან სამართლიანობას ვითხოვთ!

ყველასგან ვითხოვთ სამართლიანობას, მათ შორის კონკრეტული ევროპელი პოლიტიკოსებისგან, რომლებიც კეზერაშვილს დევნილ მედიამფლობელად მოიხსენიებდნენ. ეს არის ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელი, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

„ეს არის სისხლიანი ფული, რომელიც მას ნაშოვნი აქვს ბიზნესის რეკეტის ხარჯზე, ჯარის გაძარცვის ხარჯზე და ახლა უკვე ევროპელი პენსიონერების გაძარცვის ხარჯზე. რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანების მიმართ ევროპელი პოლიტიკოსების მხარდაჭერა ჩვენთვის არის კატეგორიულად მიუღებელი და ასეთ აქტებზე ჩვენ ყოველთვის ძალიან მკაცრი რეაქცია გვექნება.

რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვინც სხვადასხვა ფორმით ფულს იღებენ კეზერაშვილისგან, იქნება ეს ხელფასის, თუ ნებისმიერი სხვა ფორმით, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს არის მორალთან პირდაპირ დაკავშირებული. ეს ყველაფერი ნიშნავს ერთგვარ კომპრომისს მორალთან, რაც ჩვენთვის მუნებრივია, მიუღებელია და ყველას გვინდა, ეს შევახსენოთ.

კეზერაშვილმა თავადვე არაერთგზის აღიარა, რომ ის აფინანსებს რადიკალურ ოპოზიციას. ეს არის თვითონ „ნაცმოძრაობა“, მასთან დაკავშირებული პოლიტიკური პარტიები. აქ ჰქონდათ აღიარებითი ჩვენებები „გირჩს“ და სხვა დაკავშირებულ პოლიტიკურ პარტიებს. ისინი არიან ყველა ერთად კოლექტიური „ნაცმოძრაობა“. ის აფინანსებს კოლექტიურ „ნაცმოძრაობას“, იგივე რადიკალურ ოპოზიციას. გარდა ამისა, მან ისაუბრა მედიასაშუალებების დაფინანსებაზე. ყველამ იცის, რომ ის აფინანსებს „ფორმულას“, ასევე, ბოლო დროს აფინანსებს „მთავარ არხს“ და ამასთან დაკავშირებითაც ცნობილია ინფორმაციაც.

ის საუბრობს ე.წ. სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსებაზე. აქაც ყველამ ვიცით, ვინ არიან ეს ორგანიზაციები, რომელთა მიმართულებითაც მიედინება კეზერაშვილის სისხლიანი, კორუმპირებული ფული. ეს იყო მისი აღიარებითი ჩვენება და საზოგადოებამ აქედან უნდა გამოიტანოს დასკვნები. ერთი პლუსი აქვს ამ ყველაფერს, მის მიერ საქართველოდან მოპარული ფული გარკვეული ფორმით ბრუნდება საქართველოში, თუმცა დანარჩენს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის აბსოლუტურად მიუღებელი უნდა იყოს კეზერაშვილის მხრიდან საკუთარი კორუფციით ნაშოვნი ფულის ჩადება, ინვესტირება ქართულ პოლიტიკაში ამა თუ იმ ფორმით...

ირაკლი კობახიძე:

2. ჩვენი ხელისუფლება მომავალშიც დაიცავს სამშობლოს, ეკლესიას და ეროვნულ ფასეულობებს

„ქართული ოცნების“ ხელისუფლება არის საქართველოს პირველი ხელისუფლება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რომლის პირობებშიც, ქვეყანას ომი არ ჰქონია. ამასთან, უწყვეტი მშვიდობა „ქართულმა ოცნებამ“ შეინარჩუნა რეგიონში არსებული ურთულესი გეოპოლიტიკური ვითარების პირობებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით რთული იყო გასული წელიწადი, როდესაც საქართველოს მეორე ფრონტად ქცევის უშუალო საფრთხე შეექმნა, თუმცა, უმძიმესი წნეხის მიუხედავად, ხელისუფლება ამ გამოწვევასაც ღირსეულად გაუმკლავდა და უმკლავდება;

2012 წელს, უმძიმესი დემოკრატიული უკუსვლის 9-წლიანი პერიოდი უწყვეტი დემოკრატიული წინსვლის 11-მა წელიწადმა ჩაანაცვლა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ 2012 წელს წარსულს ჩააბარა უმძიმესი ავტორიტარული რეჟიმი, ადამიანების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა, ბიზნესის რეკეტი, მონოპოლიზებული მედია, პოლიტიკურ კონტროლს დამორჩილებული სასამართლო და უამრავი სხვა მანკიერება. დღეს საქართველოში დაცულია ადამიანის უფლებები, აღიკვეთა ადამიანების წამება და არაადამიანური მოპყრობა, ბიზნესი თავისუფალია, როგორც არასდროს, დაცულია სასამართლოს დამოუკიდებლობა, უზრუნველყოფილია მედიაპლურალიზმი;

2012 წლიდან დღემდე, საქართველოს ჰქონდა ყველაზე ხელშესახები წინსვლა ევროპული ინტეგრაციის გზაზე. საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ევროკავშირთან და მიიღო უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. შარშან ევროკავშირმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა, წელს კი, სამართლიანი გადაწყვეტილების პირობებში, ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსსაც მიიღებს;

ფუნდამენტურად შეიცვალა სახელმწიფოს მიდგომა სოციალური პოლიტიკისადმი. დაინერგა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, არსებითად გაფართოვდა სოციალური დახმარების პაკეტები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, აღიკვეთა სოციალური დახმარების პოლიტიკური ინტერესების მიხედვით განაწილების პრაქტიკა;

საქართველო დღეს არის დამოუკიდებელი და სუვერენული, როგორც არასდროს!

საქართველოს პროკურატურა: მსოფლიოს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები!

– საპარო ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ საქართველოს პროკურატურა არაერთი წელია აქტიურად ატარებს საგამოძიებო მოქმედებებს ე.წ. თაღლითური ქოლცენტრების გამოვლენის, დანაშაულში მონაწილე ფიზიკური თუ იურიდიული პირების იდენტიფიცირების და მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარების მიზნით.

საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფები აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებთან და ჩართულები არიან ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში ევროპის სხვა ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან ერთად.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოს პროკურატურა ევროკავშირის მხარდაჭერით ე.წ თაღლითური ქოლცენტრების საქმიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად არაერთი წელია აქტიურად თანამშრომლობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა მრავალი ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებთან.

ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის ფარგლებში, ტრანსნაციონალური, ე.წ თაღლითური ქოლცენტრების და ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე პირთა გამოვლენის მიზნით, არაერთი ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი ღონისძიებები 2021 წლის ოქტომბერსა და 2022 წლის ნოემბერში.

ღონისძიებების ფარგლებში რამდენიმე მოქმედი ქოლცენტრის, ათეულობით ფიზიკური პირის, მათი საცხოვრებელი ბინების, ავტომანქანების და სამუშაო ადგილების ჩხრეკა განხორციელდა. ამოღებული იქნა ასეულობით ინფორმაციის ელექტრონული მატარებელი, დოკუმენტაცია და დიდი ოდენობით ფულადი თანხა. ამავდროულად ყადაღა დაედო სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ათეულობით მილიონი ლარის ღირებულების ქონებებს და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ დიდი ოდენობით თანხებს.

ჩატარებული ფართომასშტაბიანი ღონისძიებების შედეგად დაკავებულია დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელები და ათეულობით წევრი, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია დანაშაულში მონაწილე იურიდიული პირების მიმართ.

საქართველოში ჩატარებულ სპეციალურ ოპერაციებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 80-მდე და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების 400-მდე თანამშრომელი მონაწილეობდა.

ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის ფარგლებში, ტრანსნაციონალური, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოვლენის მიზნით, საქართველოს პროკურატურამ 2021 წლის ოქტომბერში, გერმანული მხარის ჩართულობითა და ევროკავშირის მხარდაჭერით დაგეგმილი ერთ-ერთი პირველი ფართომასშტაბიანი ღონისძიება ჩაატარა, რის შედეგადაც სისხლისსამართლებრივი დევნა 11 პირის მიმართ დაიწყო და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 7 წევრი დააკავა.

აღნიშნული სპეციალური ოპერაცია ერთდროულად ორ ქვეყანაში, ათეულობით სხვადასხვა ლოკაციაზე მიმდინარეობდა.

საქართველოში ჩატარებული აღნიშნული სპეციალური ოპერაცია მაღალ დონეზე შეფასდა ევროკავშირის მიერ გავრცელებული განცხადებით, სადაც აღინიშნა, რომ ევროკავშირის მხარდაჭერით, ჯერ კიდევ 2015 წელს დაწყებული გამოძიების ფარგლებში, უწყებებმა გერმანიაში, საქართველოსა და ისრაელში დაშალეს დანაშაულებრივი ქსელი, რომელიც ახდენდა სხვადასხვა ონლაინ სავაჭრო პლატფორმის ოპერირებას და თაღლითურად ეუფლებოდა დაზარალებულთა კუთვნილ, ათობით მილიონ ევროს.

საქართველოს პროკურატურაში, 2022 წელს, ტრანსნაციონალური, ე.წ. თაღლითური ქოლცენტრების და ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე პირთა გამოვლენის მიზნით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გერმანულ მხარესთან თანამშრომლობის შედეგად, პროკურატურის მიერ დამატებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ათეულობით ფიზიკური და რამდენიმე იურიდიული პირის მიმართ, რომელთაც ბრალდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე წარედგინათ.

გარდა აღნიშნულისა, კიბერსივრცეში ჩადენილი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გახსნის და დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული პირების გამოვლენის მიზნით, 2022 წლის ნოემბერში საქართველოს პროკურატურამ ევროკავშირის მხარდაჭერით შექმნილი საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფის წევრი – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით, კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი ღონისძიება ჩაატარა.

საგამოძიებო მოქმედებები ერთდროულად ოთხი ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და უშუალოდ საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 60 და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების 300-მდე თანამშრომელი მონაწილეობდა.

ამ შემთხვევაშიც, გამოძიებით გამოვლენილი დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობა მოიცავდა სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში კომპანიების დაფუძნებას და მათ ბაზაზე ე.წ. თაღლითური ქოლცენტრების მოწყობას, აღნიშნული ქოლცენტრების მეშვეობით ევროკავშირის წევრი ქვეყნების, მათ შორის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეების კუთვნილი მილიონობით ევროს თაღლითურად დაუფლებას და შემდგომში მათ გათეთრებას.

ღონისძიების ფარგლებში, განხორციელდა 5 ე.წ. მოქმედი ქოლცენტრის, ათეულობით ფიზიკური პირის, მათი საცხოვრებელი ბინების, ავტომანქანების და სამუშაო ადგილების ჩხრეკა. ამოღებულია ასეულობით ინფორმაციის ელექტრონული მატარებელი, დოკუმენტაცია და დიდი ოდენობით ფულადი თანხა. ამავდროულად ყადაღა დაედო სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ძვირადღირებულ ქონებებს და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ დიდი ოდენობით თანხებს.

ფართომასშტაბიანი ღონისძიების ფარგლებში, პირველ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნა სხვადასხვა ქვეყნებში დაიწყო დანაშაულის ორგანიზატორთა გარკვეული ნაწილის მიმართ, მათ შორის საქართველოში დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი ორგანიზატორის დაკავება მოხდა, რომლის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის გადაცემის საკითხის განხილვა დასკვნით ფაზაშია.

ასევე, საქართველოს პროკურატურამ მიმდინარე წლის მარტში, თაღლითური ონლაინ-პლატფორმებისა და სავარაუდო დანაშაულში მონაწილე პირთა გამოსავლენად, მორიგი სპეციალური ღონისძიება ჩაატარა,

გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, გამორჩეული ადამიანი

ცნობილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს მინდია სალუქვაძეს 90 წელი შეუსრულდებოდა ...მისი სახელის უბრალო ხსენებაც კი სითბოთი და სიყვარულით ავსებს ყველა იმ ადამიანის გულს, ვისაც ამ არაჩვეულებრივ პიროვნებასთან ურთიერთობა ჰქონდა...

ანტონ ჩეხოვის ცნობილი გამონათქვამი „ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს“ სწორედ მატონ მინდიაზე იყო ნათქვამი. ეს საოცრად წარმოსადეგი, ლამაზი კაცი ასხივებდა სულიერ სისუფთავეს, მაღალ ინტელექტს და დიდ ადამიანურ სითბოს.

მინდია სალუქვაძე დაიბადა 1933 წელს. მას უმძიმესი ბავშვობა ხვდა წილად. მშობლები 1937 წელს რეპრესიებს შეეწირნენ და მამიდამ ობლობაში გაზარდა. მიუხედავად გაჭირვებისა, არასდროს დანებებია ცხოვრების ურთულეს გამოწვევებს. წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა 37-ე საშუალო სკოლა, 1955 წელს კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. ასევე წარჩინებით დაამთავრა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის მართვის პრობლემების ინსტიტუტის ასპირანტურა, სადაც დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1974 წელს სადოქტორო დისერტაცია.

1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

აკადემიკოს მ. სალუქვაძის სამეცნიერო სფერო მოიცავდა მართვის სისტემების მდგრადობისა და ოპტიმალური მართვის სისტემების თეორიის საკითხებს. იგი იყო 200-მდე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი, რომლებიც ცნობილია როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია ტერმინები: სალუქვაძის მეთოდი, სალუქვაძის ამოხსნა, სალუქვაძის პრინციპი. ეს ტერმინები დამკვიდრებულ იქნა ამერიკელი და რუსი მეცნიერების მიერ. მომავალ წელს გამომცემლობა „შპრინგერი“ გამოსცემს მის ახალ მონოგრაფიას.

1979 წელს მინდია სალუქვაძეს ამ მონოგრაფიისათვის მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. იმავე წელს მისი ეს მონოგრაფია თარგმნა და გამოაქვეყნა ამერიკის გამომცემლობა „Academic Press“ -მა. იგივე გამომცემლობამ მისი მეორე მონოგრაფია „ვექტორული მაქსიმინი“ გამოაქვეყნა 1994 წელს. 2004 წელს აკად. მ. სალუქვაძეს სამტომეული სახელმძღვანელოსთვის მეორედ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

1996 წელს მ. სალუქვაძის მონოგრაფიამ გიორგი ნიკოლაძის სახელობის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

2015 წელს მას მიენიჭა რუსეთის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდება 2014 წელს გამოცემული საუკეთესო სამეცნიერო წიგნის ავტორობისათვის.

აკადემიკოსი მ. სალუქვაძე ოცდახუთი წლის განმავლობაში იყო ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი, შემდეგ კი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

პროფესორი მ. სალუქვაძე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მისი ხელმძღვანელობით და კონსულტანტობით დაცულია მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

იგი ამასთანავე ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. სხვადასხვა დროს არჩეული გახლდათ უზენაესი საბჭოს, თბილისის საქალაქო საბჭოსა და რაიონული საბჭოების დეპუტატად. ათი წლის მანძილზე მოღვაწეობდა როგორც საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარე და საპატიო პრეზიდენტი, ასევე იყო საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების პრეზიდენტი.

მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთის მთელ რიგ სამეცნიერო ცენტრებთან, რაც ხელს უწყობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მის ნაყოფიერ მონაწილეობას. იგი რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი იყო, მათ შორის, 1994 წელს არჩეული იქნა ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე დაჯილდოებული იყო ღირსების ორი ორდენითა და სხვადასხვა მედლებით, სიგელებითა და დიპლომებით.

გამოჩენილი, საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ყოველდღიურ ურთიერთობაში იყო ძალიან უბრალო, თბილი და ყურადღებიანი კოლეგა და მეგობარი - ადამიანი, რომელიც უსაზღვრო ნდობით სარგებლობდა და რომლის იმედიც ყველას ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ მის კოლეგებს, მეგობრებს, მოსწავლეებს ძალიან გაგვიმართლა, რომ ჩვენ გვერდით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე – გამოჩენილი მეცნიერი და არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით შემკობილი პიროვნება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

რომლის შედეგადაც გამოვლინდა დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელთა ქმედებების შედეგად ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 33 000 მოქალაქეს, 89 მილიონი ევროს ზიანი მიადგა.

საქართველოში ჩატარებულ ღონისძიებას საქართველოს პროკურატურა, ევროჯასთში საქართველოს მეკავშირე პროკურორთან კოორდინაციით უძღვებოდა.

საგამოძიებო მოქმედებები, მხარეთა შეთანხმებით ერთდროულად ჩატარდა რამდენიმე ქვეყანაში, კერძოდ ბულგარეთში, რუმინეთში, ისრაელში და საქართველოში, რის შედეგადაც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დაკავებული იქნა შესაძლო დანაშაულში მონაწილე 5 პირი. ასევე, გამოიკითხნენ სავარაუდო დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი პირები, ამოღებული იქნა უამრავი დოკუმენტაცია და ელექტრონული ინფორმაციის მატარებლები.

აღსანიშნავია, რომ ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე ჩასატარებელი ზემოაღნიშნული სპეციალური ოპერაციები, საქართველოს პროკურატურისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის წარმომადგენლების ჩართულობით იგეგმებოდა ათეულობით საკოორდინაციო შეხვედრაზე, რამდენიმე თვის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ ე.წ თაღლითური ქოლცენტრების საქმეები წარმოადგენს ურთულესი გამოძიების საგანს, რადგან დანაშაულის სუბიექტები ერთდროულად ოპერირებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და სწორედ ამიტომ მჭიდრო ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გარეშე ეფექტიანი გამოძიების წარმოება შეუძლებელია. ხშირ შემთხვევაში დაზარალებული იმყოფება ერთ ქვეყანაში, ხოლო ქოლცენტრი და ქოლცენტრის ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი სერვერები მდებარეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

აქვე, გვინდა ხაზი გავუსვათ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით საქართველოს ეფექტიან და წარმატებულ მონაწილეობას, რაც არაერთხელ აღინიშნა საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის გერმანიის პროკურატურის და ევროჯასთის მიერ.

გვსურს კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას სწორედ ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. დანაშაულებრივი სქემისა და მონაწილე პირების გამოვლენაში ჩართულია არაერთი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, ევროპული ქვეყნების კომპეტენტური ორგანოები, რომლებთანაც საქართველოს გენერალური პროკურატურა აქტიურ რეჟიმში თანამშრომლობს.

ამავდროულად, საქართველოს პროკურატურა, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ევროჯასთის კოორდინაციით ინტენსიურ რეჟიმში აგრძელებს გამოძიებას სხვადასხვა ქვეყნებში ე.წ თაღლითური ქოლცენტრების საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების, განსაკუთრებით ტრანსნაციონალური დანაშაულების ორგანიზატორების მხილების მიზნით. მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, აღნიშნული გამოძიების შედეგების თაობაზე საზოგადოებას აქტიურად მიეწოდება ინფორმაცია, ამის დასტურია არაერთი ბრიფინგი და განცხადება უცხოელ პარტნიორებთან ერთად. თაღლითური ქოლ-ცენტრების საქმეების საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად მიმდინარე გამოძიების შედეგების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება მომავალშიც გაგრძელდება, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

თავდაცვის კოდექსის სიახლეები და ახალგაზრდები

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ორგანიზებით, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, მთავრობის მიერ ინიციატივის წესით მომზადებულ „თავდაცვის კოდექსის“ პროექტს გაეცნენ.

თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გრიგოლ გიორგაძემ კოდექსზე მუშაობის პროცესზე, მასში ასახულ სიახლეებზე, სამხედრო სამსახურის გავლის წესსა და სამხედრო რეზერვის მოდელებზე ახალგაზრდებს ინფორმაცია გააცნო.

პარლამენტში სტუმრად მყოფ სტუდენტებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაია, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე გივი მიქანაძე და კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გიორგი ჩაკვეტაძე მიესალმნენ.

„ახალგაზრდებთან ძალიან საინტერესო, ვიტყოდი რომ შესანიშნავი შეხვედრა გავმართეთ. სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები თავდაცვის კოდექსის იმ სიახლეებს გაეცნენ, რომელიც კოდექსის მიღების შემდეგ ინერგება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ჰყავს გონიერი, ნიჭიერი, პატრიოტი და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდები, რომლებიც ადეკვატურად აფასებენ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გამოწვევებს და თავდაცვისუნარიანობის საჭიროებებს სრულად აცნობიერებენ. ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობა საოცარ თაობას წარმოადგენს, რომლებიც ყოველთვის დაიცავენ ჩვენი ქვეყნის ღირსებას და მის ინტერესებს“, – განაცხადა ირაკლი ბერაიამ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

სტუდენტებთან გამართული შეხვედრა და მათთან განხილული საკითხები თავდაცვის მინისტრის მოადგილემ შეაფასა. „შეხვედრაზე ახალგაზრდებს თავდაცვის კოდექსის პროექტი გავაცანით და იმ სიახლეებზე ვისაუბრეთ, რომელიც თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად არის დაგეგმილი.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტის სტატუსი არის გადავადების საფუძველი წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისთვის, ჩვენ რამდენიმე მიდგომა შევქმენით, რომლის მიხედვითაც, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტებს სამხედრო სამსახურის გავლა შეეძლებათ. ჩვენ სხვადასხვა სასწავლებლის უნივერსიტეტებში საინფორმაციო შეხვედრებს გავმართავთ, სადაც ახალგაზრდებს როგორც პროფესიული სამხედრო სამსახურის, ასევე სავალდებულო სამხედრო სამსახურის და რეზერვის სახეებს გავაცნობთ“, – აღნიშნა გრიგოლ გიორგაძემ.

ახალგაზრდებთან შეხვედრა ინტერაქტიულად, კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, სადაც სტუდენტებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე დამატებითი ინფორმაცია მოისმინეს.

ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲧᲝᲠᲧ ᲑᲣᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲩ ᲙᲐᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲒᲖᲔᲐ ᲒᲐᲓᲐᲑᲛᲣᲚᲘ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲔᲑᲘᲪ ᲔᲠᲗᲘᲓᲐᲘᲒᲘᲕᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ „ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲠᲣᲙᲘᲗ“ ᲮᲔᲚᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲣᲜᲘᲡᲝᲜᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲜ. ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲑᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲛᲐᲧᲔᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ „ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘᲡ“ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲜ „ᲘᲒᲝᲚᲘᲠᲔᲑᲐ“ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲜ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ „ᲞᲠᲝᲛᲔᲗᲔᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“...

№45. ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ, 2023 ᲬᲔᲚᲘ.

„ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ „ᲞᲠᲝᲛᲔᲗᲔᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ“...

ᲤᲠᲗᲘᲡᲘᲦᲐᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲝ, ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲯᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲙᲐᲠ�გᲝᲗ!

ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲑᲐᲖᲔᲑᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲝᲡ ᲐᲜ „ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲛᲐ“ ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲓᲐᲒᲕᲛᲐᲚᲝᲜ (ᲐᲠᲐᲓᲐ, „ᲡᲞᲔᲪᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ“ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲔ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲒᲗᲔ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲔᲡ...), ᲠᲐᲪ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲡ ᲐᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲓᲐᲒᲕᲐᲯᲔᲠᲔᲑᲓᲔᲡ.

ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲝᲠᲣᲔᲚᲘᲡ „ᲡᲥᲕᲘᲚᲔᲠᲘᲡᲐ“ ᲗᲣ ᲘᲚᲢᲘᲡ (ᲤᲐᲘᲜᲖᲘᲚᲛᲔᲠᲒᲘᲡ) „ᲝᲡᲢᲐᲞ ᲑᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ“ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ „ᲗᲝᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ“ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ („ᲞᲠᲝᲛᲔᲗᲔᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ“), ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, „ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲛᲐ“ �გᲐᲓᲐᲡᲪᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲗᲐ „ᲙᲚᲐᲜᲘᲡ“ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲔᲑᲘ (ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲙᲘ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ...) ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲗ „ᲓᲐᲡᲐᲯᲐ“...

ᲗᲣ ᲒᲐᲕᲘᲗᲝᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ „ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ“ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲓᲜᲔᲜ (ᲡᲐᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲘᲒᲔᲯᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲣᲢᲐᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ „ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲔᲑᲡ“. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, „ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ“ ᲘᲡᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓ ᲡᲐᲐᲙᲐᲕᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲫᲛᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ, ᲮᲝᲚᲝ „ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲛᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ...), ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲠᲝᲢᲐᲪᲘᲐ „ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲔᲡ“, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ �გᲣᲜᲔᲑᲨᲘ (ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ „ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ“, „ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ“, „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ“, „ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ“ ᲗᲣ „ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲐᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲝᲪᲜᲑᲐ“ ᲔᲠᲥᲛᲔᲕᲐ...), ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲧᲝᲤᲘᲚ „ᲛᲝᲥᲐᲕᲨᲘᲠᲘᲚᲔᲑᲡ“, „ᲜᲐᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ“ ᲓᲐ „ᲛᲔᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲡ“ ᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ....

ᲕᲨᲘᲨᲝᲛ, „ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠ „ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲑᲠᲘᲕ („ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲯᲘᲒᲠᲣᲚᲐᲓ“ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ) ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲔᲚᲘᲢᲐᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲦᲘᲥᲕᲐᲛᲡ ᲓᲐ, ᲘᲡᲔᲕ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲗᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ (ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲗᲘᲡ...) ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲓᲐᲨᲚᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲣᲚᲘ...

ᲤᲐᲥᲢᲘᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ „ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘᲡ“ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲖᲔ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ „ᲛᲘᲨᲐ ᲛᲐ�გᲐᲠᲘᲐ!“ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲘᲐᲓᲔᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲔᲞᲘᲪᲔᲜᲢᲠᲡ (ᲤᲐᲥᲢᲘᲐ, „ᲐᲓᲐᲞᲢᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲐᲨᲚᲘᲚᲝᲑᲐ“ 2008-ᲨᲘᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ „ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲣᲠᲘᲡ“ ᲗᲐᲝᲛᲐᲖᲔ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔ, ᲨᲔᲣᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲛᲐ „ᲓᲐᲣᲓᲒᲘᲜᲐ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ“...).

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲐ�გᲘᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐᲞᲠᲝᲕᲝᲪᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ „ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ“ ᲠᲝᲚᲖᲔ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ „ᲛᲘᲨᲐ ᲛᲐ�გᲐᲠᲘᲐ!“ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲘᲐᲓᲔᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲔᲞᲘᲪᲔᲜᲢᲠᲡ (ᲤᲐᲥᲢᲘᲐ, „ᲐᲓᲐᲞᲢᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲐᲨᲚᲘᲚᲝᲑᲐ“ 2008-ᲨᲘᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ „ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲣᲠᲘᲡ“ ᲗᲐᲝᲛᲐᲖᲔ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔ, ᲨᲔᲣᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲛᲐ „ᲓᲐᲣᲓᲒᲘᲜᲐ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ“...).

ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲝᲠᲣᲔᲚᲘᲡ „ᲡᲥᲕᲘᲚᲔᲠᲘᲡᲐ“ ᲗᲣ ᲘᲚᲢᲘᲡ (ᲤᲐᲘᲜᲖᲘᲚᲛᲔᲠᲒᲘᲡ) „ᲝᲡᲢᲐᲞ ᲑᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ“ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ „ᲗᲝᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ“ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ („ᲞᲠᲝᲛᲔᲗᲔᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ“), ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, „ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲛᲐ“ �გᲐᲓᲐᲡᲪᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲗᲐ „ᲙᲚᲐᲜᲘᲡ“ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲔᲑᲘ (ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲙᲘ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ...) ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲗ „ᲓᲐᲡᲐᲯᲐ“...

ᲗᲣ ᲒᲐᲕᲘᲗᲝᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ „ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ“ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲓᲜᲔᲜ (ᲡᲐᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲘᲒᲔᲯᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲣᲢᲐᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ „ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲔᲑᲡ“. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, „ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘᲡ“ ᲘᲡᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓ ᲡᲐᲐᲙᲐᲕᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲫᲛᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ, ᲮᲝᲚᲝ „ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲛᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ...), ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲠᲝᲢᲐᲪᲘᲐ „ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲔᲡ“, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲒᲣᲜᲔᲑᲨᲘ (ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ „ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ“, „ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ“, „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ“, „ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ“ ᲗᲣ „ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲐᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲝᲪᲜᲑᲐ“ ᲔᲠᲥᲛᲔᲕᲐ...), ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲧᲝᲤᲘᲚ „ᲛᲝᲥᲐᲕᲨᲘᲠᲘᲚᲔᲑᲡ“, „ᲜᲐᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ“ ᲓᲐ „ᲛᲔᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲡ“ ᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ....

ᲕᲨᲘᲨᲝᲛ, „ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠ „ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲑᲠᲘᲕ („ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲯᲘᲒᲠᲣᲚᲐᲓ“ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ) ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲔᲚᲘᲢᲐᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲦᲘᲥᲕᲐᲛᲡ ᲓᲐ, ᲘᲡᲔᲕ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲗᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ (ᲡᲐᲡᲔᲕᲔ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲗᲘᲡ...) ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲓᲐᲨᲚᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲣᲚᲘ...

ᲤᲐᲥᲢᲘᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ „ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘᲡ“ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲖᲔ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ „ᲛᲘᲨᲐ ᲛᲐᲗᲐᲠᲘᲐ!“ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲘᲐᲓᲔᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲔᲞᲘᲪᲔᲜᲢᲠᲡ (ᲤᲐᲥᲢᲘᲐ, „ᲐᲓᲐᲞᲢᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲐᲨᲚᲘᲚᲝᲑᲐ“ 2008-ᲨᲘᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ „ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲣᲠᲘᲡ“ ᲗᲐᲝᲛᲐᲖᲔ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔ, ᲨᲔᲣᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲛᲐ „ᲓᲐᲣᲓᲒᲘᲜᲐ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ“...).

ᲡᲐᲜᲐᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲡ ᲨᲔᲕᲘᲗᲐᲕᲐᲖᲔᲒ, ᲛᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲐᲮᲡᲔᲜᲝ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ, ᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝᲪ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲚᲘᲢᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔ-10 ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ „ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲣᲚᲘ“, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ „ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ“ ᲗᲣ „ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ“ „ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ“, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲚᲐᲜᲫᲦᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲛ



შალვა მჭედლიშვილი:

რაა სიცოცხლე, თუნდაც ერთ მწვერვალს თუ წამით ფეხი არ დააბიჯე!

2023 წლის 21 აპრილს შესრულდა პოეტისა და ექიმის შალვა მჭედლიშვილის დაბადებიდან 100 წელი. თავისი უშიშარი დისიდენტური სულისკვეთების ლექსების გამო სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი 1945 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. მისი როგორც მწერლის დევნა, შევიწროება და იგნორირება კომუნისტური რეჟიმის დასრულებისთანავე არ შეწყვეტილა, ნაწილობრივ გრძელდებოდა სიცოცხლის ბოლომდე. შალვა მჭედლიშვილი იყო იმ ორმოციანი წლების ლიტერატურული თაობის წარმომადგენელი, რომელმაც თავისი ეროვნული მრწამსის გამო განიცადა რეპრესიები, ხანგრძლივი გადასახლებები და ციხეებში ტანჯვა-წამება. გამოიარა ვორკუტის საკატორღო ბანაკები და სამუდამო გადასახლება ყაზახეთში. პოეტის ლექსებში მისი სულიერი ბიოგრაფიაა ასახული და აღბეჭდილი. დიდი, მოუშუშებელი ტკივილით სამშობლოს ბედზე, დაკარგულ სიყვარულზე, ადამიანური ყოფის საჭირბოროტო საკითხებზე. სამოც წელზე მეტი ემსახურა შალვა მჭედლიშვილი პოეზიის წმინდა სამსხვერპლოს. უამრავი ცხოვრებისეული განსაცდელის მიუხედავად, ხანგრძლივი სიცოცხლის გზა განვლო და ბოლომდე პოეტად დარჩა. მისი ფიქრიანი, გულშიჩამწვდომი ლირიკა, ადამიანისადმი სიყვარულით გამთბარი და ღვთის რწმენით გამსჭვალული, უსათუოდ იმსახურებს მკითხველის აღიარებასა და სიყვარულს. ეს მან დაიმსახურა თავისი მოწამეობრივი ცხოვრებითა და შესანატრი ნიჭიერებით დაღდასმული შემოქმედებით.

თამარ შავლიაშვილი

მეორედ მოსვლა

მოველით აღდგომასა მკვდრეთით
და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა
ამინ!

დასცხეთ დაფდაფებს, გააჩაღეთ კვნესა ზარების,
ააქვითინეთ ორთქლმავლები, აუწყეთ ყველას,
მეორედ მოსვლა... ჰა, ლანდები შესაზარებნი,
უკვე აყეფდნენ და უთვლიან
მაღალ ღმერთს წყევლას.
აზვირთებულან სისხლის მთებად
საუკუნო სარეცელები
და დედამიწა შეჰფარვია უღიმღამო
ღამეთა ზეწარს,
მიცვალებულნი მოცახცახე, ცეცხლის ცელებით,
გრგვინვით გაბზარულ საფლავებზე ამხობენ ზეცას;
მხეცნი დაცოფდნენ, ღრიანცელი სივრცეებს დასცეს,
ბნელ ხეობებში მეხთატეხის ექონი ჰქუხან,
ჩონჩხთა ყმუილით დაფეთებულ ანგელოზთ დასევს
ელვის მათრახით ერეკება სატანა გულქვა.
ყველგან უწყალო წყვდიადია, წყეული ყინვა,
ყვავ-ყორნებიც კი შიშით ფრთებს ძლივს ასავსავებენ,
სისხლიან ქარებს მოთქმითა და ქვითინით მიაქვთ
წიხლით ნათელი, უდღეური ბავშვთა თავები.
ქვეყნად ყოველი ამაოა... უკვე გვიანი...
მიწა ირწევა, მიწა იძვრის, ცეცხლი ფლეთს და ღრღნის.
არნახულ რისხვით მღელვარებენ ოკეანენი,
სისხლი და სისხლი, შურისგება, ჯანღი და ჯანღი.
საკირეების ლოტოებით დრტვინავენ ველნი,
ცეცხლში მკვნესარე შიშველ ქალებს არავინ შველის.
ეკლესიები გედთა ფრთებით მიცურავს ცისკენ,
ვარვარა ჯვრებზე ეხვევიან კაცის მკვლელები;
გუგუნებს მიწა, გულშემზარად გმინავს და ისევ
უფსკრულებიდან იმუქრება მკაცრი ხელები.
ო, ეს ხელები, სისხლიანი შავი ხელები
ლამობს ყოველი არსის აღგვას განახელები,
წინასწარმეტყველ, ყოვლისტყვედმქმნელ
ფერიის საყვირს
ქუხილად ასდევს იდუმალი ქვესკნელთა ბანი,
დათა სასთუმლებს, ძმებისაგან
წაბილწულთ, წარყვნილთ,
ციურ კოშკთაგან გამგმინავი ელვები ცვივა.
შლეგი დედები ყანწს ავსებენ შვილების სისხლით,
ძველი ცოდვების შესანდობარს სიცილით ცლიან.
დასცხეთ დაფდაფებს და სანთლების სევდიან ალში
ააფრიალეთ ქრისტეს ხატით ნაქარგი დროშა!
დასცხეთ დაფდაფებს, მიაჩუმეთ სიკვდილის მარში.
მეორედ მოსვლა მოახლოვდა, მეორედ მოსვლა!

1940 წელი. თბილისი



საუბარი საკუთარ თავთან

„მითხარ ვინ იყავ და გეტყვი ვინ იქნები“
კონფუცი

ძლიერის წინაშე შენც ისწავლი მოხრას ქედისას
დაგამუნჯებენ, მართალ სიტყვას გულში ჩაიკლავ?
ლექსს დაამსგავსებ გოდებას და მოთქმას გედისას
და უმოწყალოდ დაივიწყებ გუშინ რაც იყავ?!

* * *

კიდევ მრავალი წელი გაივლის
და ის აპრილი არ დაბრუნდება,
გული ბავშვობის სახლის აივნის
მიტოვებული მერცხლის ბუდეა.
რა იქნა სათნო და გულმართალი
წყვილი ფრთოსანი, სად შეყრის ბედი
ო, ნუთუ, ნუთუ, ერთი მათგანი
ქვას დაენარცხე სპეტაკი მკერდით?
ნაობლარისა დადუმდა ენა,
დასცა ზღვის ელვამ და გამძაფრებამ
უსიყვარულოდ ზღვათა სივრცენი
ძნელი ყოფილა გადასაფრენად!

* * *

რამ დამავიწყოს დედის თვალები,
დაუვიწყარი თვალები დედის,
ან სახე მისი ფერნამკრთალები,
მუდამ აღსავსე ალერსით, სევდით!
– მე ხომ პირველად ჭაღარა შენი
ციხის სარკმლიდან შევნიშნე, დედავ,
და ის ტკივილი უთქმელი ენით,
ის სინანული სულ თანა მდევდა!
რომ მოგონებაც ჩემი პირველი
ცრემლები იყო, ცრემლები შენი!
სულ ჩემს ეკლიან გზას მისტიროდი,
მოლო არ უჩანს ახლაც იმ ლოდინს
და არსად ჩანან მონუგეშენი!

* * *

ნუთუ უკვალოდ გაქრება ის შუქი,
გამონაკრთომი იმ ნაზ შუქისა,
ო, ნუთუ მართლა ლექსი, სიმღერაც
ხვედრია მხოლოდ სიჭაბუკისა?!
ო, არა, არა!
როცა სიბერე
კარს მოგვადგება
ყინვის ლახვარით,
რომ არ ვიმღეროთ, ხომ გავითოშეთ
ამაოების ცივი ხარხარით!

რწმენა

„არსებობს სხვა სიცოცხლე? ნუთუ გავიდოდეს
და ეს ყოველივე სიზმრად მომჩვენებია –
უნდა იყოს, შეუძლებელია ჩვენ ამდაგვარი
განსაცდელისათვის ვიყოთ გაჩენილნი“.
ჯონ ქათსი

განვლილ სიკვდილზე მწარე წამება
და ვერ შეძლებდი ტანჯვის ატანას,
თუ ღვთის წყალობას არ ვიწამებდი,
არ ვირწმუნებდი, მოლო აქვს ტანჯვას!
სხვა სიცოცხლე და სვე-ბედიც მელის,
სიზმარში ვნახე, რაც იყო დღემდე,
ის სიმწუხარეც, მდუღარე ცრემლიც!
მწამს ეკლიანი წყეული, ის გზაც,
დამავიწყდება, რომ ვნახე სიზმრად!
თუმცა ჯვარს მაცვეს აქ სიცოცხლეში,
ჯოჯოხეთური წამება განვლე...
დე, უმოწყალოდ დამფლითონ ლეშიც,
მაინც ვიკივლებ: სატანავ, განვედ!

ხელთათმანები

დიდი ხნის უხმარ მივიწყებულ
ძველ ნივთებს შორის
შემთხვევით ვნახე პაწაწინა ხელთათმანები,
ჟამთა ცვლისაგან გახუნებული...
მივაგელვებდი, ჩემი ხელით
გაჩორკნილ ციგას
ელვარ სერიდან
და როს ხელები სუსხისაგან მეთოშებოდა,
შინ შევირბენდი.
გულთან, უბეში ჩაიწყობდა
დედა ჩემს ხელებს
გალურჯებულ პატარა ხელებს,
და მხურვალე სუნთქვით მითბობდა
სადა ხარ დედავ, მეთოშება ბედკრული სული
და წუთისოფლად არვის ძალუძს გათბობა ჩემი...

ქართული ლიტერატურა ესპანურენოვან სამყაროში

25-27 აპრილს საქართველოს მწერალთა სახლი პირველად წარადგენს ქართულ ლიტერატურას ბუენოს აირესის 47-ე საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე.

ამჯერად საქართველოს სტენდი ბუენოს აირესის წიგნის ბაზრობაზე ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის კოლექტიურ სტენდის ნაწილი იქნება, სადაც გამოიფინება ქართველი ავტორების უახლესი თარგმანები ესპანურ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ასევე მწერალთა სახლის მიერ მომზადებული კატალოგები ქართველი მწერლების შესახებ.

არგენტინაში დაგეგმილია საქართველოს დელეგაციის შეხვედრები არგენტინის კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან, პანელური დისკუსიები, რომლის მიზანიც ესპანურენოვან სამყაროში ქართული ლიტერატურის მიმართ ინტერესის გაზრდაა. არგენტინელ მკითხველს და არა მხოლოდ მათ, ქართულ ლიტერატურას გააცნობს სულაკაურის გამომცემლობის დირექტორი თინა მამულაშვილი, „მწერალთა სახლის“ მთარგმნელობით პროგრამას კი წარადგენს ორგანიზაციის დირექტორი, ნატალია ლომოური.

ქართული სტენდი საგამომცემლო სექტორის პროფესიონალებისთვის 25 აპრილს გაიხსნება და 27 აპრილის ჩათვლით იქნება წარმოდგენილი. ბაზრობა დამთვალიერებლებს უმასპინძლებს 27 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით.

ბუენოს აირესის წიგნის ბაზრობა არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და დიდი წიგნის ბაზრობა ესპანურენოვან სამყაროში.

ბაზრობა სამი კვირის განმავლობაში გრძელდება და მილიონზე მეტ მკითხველს და 12 000-ზე მეტ საგამომცემლო სექტორის პროფესიონალს მასპინძლობს.

წელს ბუენოს აირესის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქალაქი სანტიაგო იქნება. 2021 წელს საქართველო თავისი ერთიანი სტენდით მექსიკაში, გვადალახარას წიგნის ბაზრობაზეც იყო წარდგენილი.

ყოველდღიურად ენგურის ხიდზე 2500-ზე მეტი ადამიანი მიდი-მოდის!

„სუფთა ევროპული პროდუქცია“ - რა იყიდება აფხაზურ DUTY FREE-ში

რამდენიმე თვის წინ, ენგურის ხიდის აფხაზეთის მხარეს დაგეგვრისგან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი DUTY FREE გაიხსნა. მაღაზიაში მოხვედრა მხოლოდ აფხაზეთიდან გამსვლელებს შეუძლიათ "საპასპორტო შემოწმების" გავლის შემდეგ.

„რუსული „Дьюти Фри Альянс“-ის ფილიალმა „Апсны Дьюти“-მ ენგურის ხიდთან, სოფელ ჭუბურხინჯში უბაჟო მაღაზიის მშენებლობის ნებართვა გასული წლის 31 აგვისტოს მიიღო. ახლა აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციული საზღვრის კვეთიისას "საპასპორტო კონტროლის“ ჯიხურების წინ ერთსართულიანი თეთრი ფერის შენობა დგას. მაღაზიას მაღალი ფანჯრები აქვს, შენობას დიდი წითელი ასოებით ინგლისურად აწერია: DUTY FREE.

საალდგომოდ მაღაზიაში მხოლოდ გამყიდველები და რამდენიმე ადგილობრივი დაგხვდებოდათ. „აფხაზური დიუტი ფრი“ ევროპის სხვადასხვა აეროპორტში ნანახი მაღაზიებისგან დიდად არ განსხვავდება, თუ არ ჩავთვლით ზომას და პროდუქტების არჩევანს.

მარტინის და სხვა ბრენდების სასმელები, ვერსაჩეს სუნამოები, პარფიუმერია, სიგარეტები, ტკბილეულობა... – დახლებზე იგივე პროდუქტებია, რასაც მსოფლიოს ნებისმიერ სხვა მაღაზიაში ნახავდით. **„სუფთა ევროპული პროდუქციაა“,** – ამბობს გამყიდველი ქალი.

ყველა პროდუქტს ეტიკეტზე ფასი ევროში აქვს მითითებული, თუმცა გადახდა მხოლოდ რუსული რუბლით შეიძლება. ანუ თუ ჯიბეში ან საბანკო ბარათზე ლარი, ევრო, დოლარი ან სხვა ვალუტა გაქვთ, Apsny Duty-ში ვერაფერს იყიდით. ფულის იქვე, მაღაზიაში გადახურდავება შეუძლებელია. ამიტომ, ვისაც რუბლი არ აქვს, მხოლოდ დახლების დათვალიერებას უნდა დასჯერდეს და „აფხაზურ დიუტი ფრის“ ხელცარიელს დატოვებს.

თუ აფხაზეთის რიგით მარკეტში მაგალითად სიგარეტების – სობრანიე, ვინსტონი, პარლამენტი ერთი შეკვრა – 3000 რუბლი (ლ 90) ღირს, „დიუტი ფრიში“ 1500-ად (ლ 45) შეიძენთ. განახევრებული ფასებია ალკოჰოლურ სასმელებზეც, თუმცა იგივე არ ითქმის მაგალითად ტკბილეულობაზე. Fruit-tella-ს, HARIBO-ს და სხვა დასახელებების კანფეტები ადგილობრივი მაღაზიების ფასთან შედარებით ორჯერ ძვირი ღირს.

ადგილობრივები რადიო თავისუფლებასთან ამბობენ, რომ „დიუტი ფრის“ სიგარეტებს ვერც აფხაზური და ვერც ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ვერ გადაიტანენ.

„პროდუქცია, რომელიც სხვა მაღაზიებთან შედარებით ნახევარ ფასად იყიდება, როგორც ვიცით, უაქციზოა და ამიტომაც აქვს დაბალი ფასი. „დიუტი ფრიში“ რომ ვიყიდო, ვერც აქეთ გადმოვიტან და ვერც იქით წავიღებ, რადგან საზღვარზე უაქციზო საქონლის გადატანა აკრძალულია. შეიძლება მალულად, ან მოქრთამვით წაიღო, მაგრამ კანონიერად, როგორც აფხაზმა მებაუჟებმა გვითხრეს, მათ აქვთ უფლება არ გაგატანონ, რადგან უაქციზოა. ძირითადად, საზღვრებზე უკანონოდ გადატანის დროს ჩამორთმეული საქონელია და ამიტომ იყიდებაო ნახევარ ფასად“, – გვეუბნება გალის რაიონის მცხოვრები, რომელიც ამჯობინებს რომ ანონიმად დარჩეს.

აფხაზ ეკონომისტსა და ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელ ახრა არისტავას სასაზღვრო ზონაში უბაჟო მაღაზიების გახსნის იდეა თავიდანვე არ მოსწონდა. რადიო თავისუფლების პროექტ „ეხო კავკაზასთან“ გასული წლის ოქტომბერში ის ამბობდა, რომ „დიუტი ფრი“ აფხაზეთის ეკონომიკას უფრო მეტ ზიანს მოუტანს, ვიდრე მოგებას.

...„ირიბი ზარალი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მეწარმეებს, რომლებიც აქციზს დაქვემდებარებულ საქონელს აწარმოებენ, შეეძლოთ მოგება ენახათ. ეს არის არაყის, ღვინის, თუნდაც სიგარეტის, ლუდის მწარმოებლები. ისინი დაუცველები აღმოჩნდნენ ამ სიტუაციაში. წარმოიდგინეთ, აქ საქონელი საერთოდ გადასახადის გარეშე შემოდის! ჩვენ როგორმე უნდა გავზომოთ ყველა ეს შედეგი... უნდა შევქმნათ კომისია და გავარკვიოთ: ეს ბანალური კონტრაბანდაა, უბაჟო ხპროდუქტიჯ თუ რამე სხვა მოვლენა“, – თქვა მაშინ არისტავამ.

ახლა ამ მაღაზიიდან რამდენიმე ნაბიჯში დაბეგვრისგან თავისუფალი ვაჭრობის კიდევ ერთი პუნქტი შენდება. ეს აფხაზეთში მეხუთე უბაჟო მაღაზია იქნება, სამი ფსოუს გამშვებ პუნქტზე მოქმედებს.

აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის განკარგულებით, ენგურის ხიდზე მეორე „დიუტი ფრის“ კომპანია „Куазан МБГ“ აშენებს და ახალშიც პირველის მსგავს პროდუქციას ელოდებიან. განკარგულების თანახმად, კომპანიამ სამუშაო განრიგი, საქონლის შემოტანის, შენახვისა და გაფორმების პროცედურა საბაჟო გამშვები პუნქტის საკოორდინაციო საბჭოსთან უნდა შეათანხმოს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) კვლევით, როცა ხიდი გახსნილია, ენგურის გამშვებ პუნქტს ყოველდღიურად 2580-მდე ადამიანი კვეთს.

„სტრატეგიული პარტნიორის“ საქციები და „პრომეთეს ორდენი“...

(მეექვსე ბვერდიდან)

შესაბამისად, თუ რუსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ცალკე სუბიექტად აღარ იქნება წარმოდგენილი, საქართველოს „დსთ“-სა და ყოფილი „მოძმე რესპუბლიკების“ ერთიან თავდაცვით სისტემაში შეეძლება გაწევრება, რაც ქართულ ეკონომიკაზეც სასიკეთოდ აისახება და ქართულ სოფელსაც დაიცავს დაცარიელებისგან (ადგილობრივი პროდუქციისთვის, თითქმის 200 მილიონიან ბაზარი გაიხსნება...). ცხადია, თუ ოდესმე „დსთ“-მაც შეწყვიტა არსებობა, ჩვენც გაგვიჩნდება საშუალება დამოუკიდებლად გადავწყიტოთ მომავალში კიდევ ვინმესთან ვაპირებთ სახელშეკრულებო ურთიერთობას თუ ნეიტრალიტეტს ავირჩევთ (ცხადია, ჩვენი ნეიტრალიტეტით, პირველ რიგში, მეზობელი სახელმწიფოები უნდა იყონ დაინტერესებულნი...).

გარდა ამისა, ერდოღანის მიერ შემოთავაზებულ „სამხრეთ-კავკასიულ ექვსეულში“ გაწევრებაზეც ღირს დაფიქრება (აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი). თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი „სამეზობლო კავშირის“ აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე შექმნა იგეგმება, ლოგიკურია, რომ გონივრული და დაბალანსებული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენის გარკვეულ შანსს ეს გაერთიანებაც იძლევა... ამდენად, კარგია, რომ დღევანდელი ხელისუფლება რუსეთთან ღიად დაპირისპირებას თავს არიდებს, მაგრამ, დროა პოზიცია მკაფიოდ ჩამოაყალიბოს, მით უმეტეს, რომ „სტრატეგიულმა პარტნიორმაც“ უკვე აშკარად მიგვანიშნა ამის აუცილებლობის თაობაზე... ვინაიდან, ჯერ ხელისუფლების ფავორიტ მოსამართლეებს დააკისრა სანქციები, შემდეგ ოპოზიციის დამფინანსებელიც „ამხილა“ ე. წ. ტრანსნაციონალურ დანაშაულში, როგორც ჩანს, ვეღარ გაიგო „ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის ნათელი პერსპექტივა გვირჩევნია“ (არადა, თურქეთი 15 წელზე მეტია, რაც კანდიდატია...) თუ ისევ რუსეთთან გვაწყობს მორიგება, რომელსაც უკვე პანკისის მიმართულებითაც გაჰყავს გზები და, შეიძლება, სომხეთსაც კი „დაუმეზობლდეს“...

ვინაიდან არ მინდა, რომ საქართველოში რუსულ გაზებს ამერიკულებიც დაემატოს ან „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ იუგოსლავიასავით დაგვშალონ (არადა, „სპეცოპერაცია“ რამდენიმე თვე გაგრძელდა, ხოლო ბელგრადი სწორედ აღდგომის დღესასწაულზე დაბომბეს...), რაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსს საბოლოოდ დაგვაკარგვინებს, კარგი იქნება, ჩვენმა პოლიტიკოსებმა (ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა) ილია მეორის ერთ-ერთ ადრინდელ ეპისტოლეში გადმოცემული სიბრძნე გაითავისონ („უფრო მეტად გვმართებს ანალიტიკური აზროვნების გამოვლენა, ვიდრე გულის კახნახით სიარული. თითოეული ჩვენი ნაბიჯი აწონილ-დაწონილი უნდა იყოს...“) და ქართველ ერსაც აუხსნან, ერეკლე მეორესავით, ისევ ერთმორმწმუნე სლავებთან ერთად აპირებენ ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენას, თუ გეოგრაფიულად ერთმნიშვნელოვნად აზიაში მდებარე ქვეყნის მოსახლეობა პეტრე პირველივით უნდათ, რომ, ფაქტობრივად, ძალით „გაევროპელონ“...

ავთანდილ კახნიაშვილი,
სამართლის დოქტორი.

დიდი ბრიტანეთი იყო, არის და იქნება რუსეთის მარადიული მტერი!

ასე გამოეხმაურა რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევი ბრიტანეთის მიერ დაწესებულ ახალ სანქციებს.

„ჩვენ არ გვაინტერესებს მათი გადაწყვეტილებები. დიდი ბრიტანეთი იყო, არის და იქნება ჩვენი მარადიული მტერი“, – წერს მედვედევი საკუთარ „ტელეგრამ არხზე“.

შეგახსენებთ, პოლიტიკოსის, ვლადიმერ ყარა-მურზას მოწამვლისა და დაპატიმრების საქმეზე დიდმა ბრიტანეთმა ხუთ პირს სანქციები დაუწესა. სანქცირებულ პირებს შორის არიან რუსი გამომძიებლები და მოსამართლე, უსაფრთხოების სამსახურის ორი აგენტი, რომლებსაც კავშირი აქვთ 2015 და 2017 წელს ოპოზიციონერი პოლიტიკოსის მოწამვლასთან.

როდიდან აპრცელებდა საიდუმლო დოკუმენტებს?

აშშ-ის საჰაერო ძალების ეროვნული გვარდიის წევრმა ჯეკ ტეიშეირამ საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნება 2022 წლის თებერვალში დაიწყო.

როდესაც ფორუმ Discord-ზე ტეიშეირამ პირველი საიდუმლო დოკუმენტი გამოაქვეყნა, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყებიდან 48 საათიც არ იყო გასული. ტეიშეირამ გამოაქვეყნა დოკუმენტების ჩათში, რომელშიც 600-მდე მომხმარებელი იყო გაწევრიანებული. ამასთან ტეიშეირა ამტკიცებდა, რომ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და სხვა სადაზვერვო სააგენტოების მონაცემებს აქვეყნებს.

ერდოღანის წინასაარჩევნო დაპირებები

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი მოსახლეობას წინასაარჩევნოდ დაჰპირდა, რომ შავ ზღვაში, საქარიას საბადოს ამუშავების შემდეგ ყველა ოჯახს ერთი წლის განმავლობაში უფასო ბუნებრივი აირით უზრუნველყოფს.

კერძოდ, ხელისუფლება საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად უფასოდ 25 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს გამოყოფს.

ერდოღანის თქმით, შავი ზღვის ბუნებრივი აირი თურქეთის მოთხოვნილების 30%-ს დააკმაყოფილებს. სავარაუდოდ, პირველ ეტაპზე ყოველდღიური მოპოვების მოცულობა 10 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, თუმცა 2026 წლისთვის ამ მაჩვენებლის 40 მილიონ კუბურ მეტრამდე გაზრდა იგეგმება.

გამოძიება „პოლიტიკური მოსაზრებებით“ შეფერხდა

აშშ-ის შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი აცხადებს, რომ ჰანთერ ბაიდენის წინააღმდეგ გამოძიება არასათანადოდ ჩატარდა.

საქმე ეხება აშშ-ის პრეზიდენტის შვილის მიერ საკუთარი ბიზნესის წინ წასაწევად ოჯახური კავშირების არასათანდო გამოყენების გარშემო მიმდინარე გამოძიებას. როგორც აშშ-ის შემოსავლების სამსახურის თანაშრომლის ადვოკატი აცხადებს, მის კლიენტს აქვს ინფორმაცია, რომ ჰანთერ ბაიდენის წინააღმდეგ გამოძიება „პოლიტიკური მოსაზრებებით“ შეფერხდა.

იურისტის თქმით, ის მზადაა, კონგრესს ჩვენება მისცეს, თუმცა მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩართვასა და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს. თავის მხრივ, თეთრ სახლში აცხადებენ, რომ საგადასახადო სამსახურის თანამშრომელმა კანონი თავად დაარღვია, როდესაც მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაცია გაამხილა. თეთრ სახლში უარყვეს ინფორმაცია, რომ ჯო ბაიდნი თავისი შვილის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიებაში ჩაერია.

მირონად ქცეული დედის ცრემლები

ლაშა ჯაველიძე დედასთან, მერი დიხამინჯიასთან ერთად.

აღდგომის გრწყინვალე დღესასწაულის დღეებია. მაგიდაზე უამრავი ხელნაწერი მიდევს – ერთიდაიგივე ხელწერაა, ოღონდ სხვადასხვა დროს დაწერილი. ზოგი ლამაზად, მწყობრად გამოყვანილი ასოჩუქურთმებით, ზოგი აჩქარებული – ზიგზაგად წასული, შემოკლებული სიტყვებით. საერთო ერთია, ერთი დედააზრი, ერთი ტკივილი, სულის ერთი ამოთქმა, ყოველდღიური გოდება... სამ წელიწადს შეუშრობელი ცრემლის წვეთებიც ამჩნევია ფურცლებზე, ია-იებად მიმოფანტული. მახსენდება – დედის ნაცრემლზე იები ხარობენო.

ეჰ, რამდენი ია-იები არის ნაადრევად წასული ჩვენი კოლეგეგის, მამა-შვილ ნოდარ და ლაშა ჯაველიძეების საფლავზე იმ დღიდან მოყოლებული, რაც ამ ლამაზ, ერთგულ, წელგამართულ და სტუმრისთვის კარგაღებულ ქართულ ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს – ერთ საშინელ დღეს გარდაცვლილი მამა-შვილი ერთ დღეს მიაბარეს მიწას.

ქართული პრესის წარმომადგენლებსა და ჟურნალ-გაზეთების მკითხველებს კარგად ემახსოვრებათ ქალბატონი მერი დიხამინჯია, ყველასგან გამორჩეული წერის სტილით, ლამაზი, გულშიჩამწვდომი წერილებით, ნოველებითა და ჩანახატებით. დიახ, ეს ის კდემამოსილი ქალბატონია, რომელიც შესანიშნავ, ყველასათვის დასაფასებელ ინტელიგენტთა ტრადიციულ კოლხურ ოჯახში გაიზარდა. დამსახურებული ექიმები ოთარ დიხამინჯია და ვერიკო შენგელია გახლდნენ მისი მშობლები. ბატონი ოთარი დასტაქრობასთან ერთად, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი, შესანიშნავი ლოტბარი გახლდათ და გასაკვირიც არაა რატომ მრძანდებოდა ქალბატონი მერი სულიერად ლამაზი და შემოქმედებით ამაღლებული.

მრძანდებოდა-მეთქი ვამბობ, რადგან...

ეს რა ყვავ-ყორნები მომესია,
ეს რა გოლგოთის ზარებია,
ზეცას დამამკვიდრეთ –
სულში გრიგალია,
მერე კი სიკვდილის
აღარ მეშინია.

ეს ქმარ-შვილისადმი მიძღვნილი რეკვიემის საწყისია, მისი დარჩენილი სიცოცხლის კრედო, რეკვიემისა, რომელიც ღამით იწერება, ღამით, როდესაც ფანტასმაგორიული თეთრი იები და ლაშას საყვარელი თეთრი ვარდები გადაპენტავენ დედის ოთახს, როდესაც თეთრი მტრედები, სამოთხის ანგელოზები უბათქუნებენ თავიანთ ლამაზ, მოხატულ ფრთებს სარკმლის მინებს, როდესაც ღვთაებრივი გალობებითა და ტკბილი, ახალგაზრდული მოგონებებით ივსება სენაკი-სამყოფელი ლამაზი ვაუკაცის დედისა და სახელოვანი კაცის ქვრივისა.

როცა ჩემს სტრიქონებს ვერ წაიკითხავთ, მე ცოცხალი აღარ ვიქნები!

იწერება ნოველები, სევდიანი ლექსები, ლოცვები, შვილისადმი გასაგზავნი წერილები, საუბრები საფლავის დარაჯად დატოვებულ ტირიფთან, რომელიც მუდამ მტირალა და სევდიანია, რომელიც, თავდახრილი მომლოცველი მონაზონივით ეგებება მომსვლელთ და ქალბატონ მერის უამბობს იმ ღამის ამბებს, როდესაც დედა იმქვენიურ ზმანებებთანაა, თავად კი წმინდა საფლავებს დარაჯობს.

...მიწყვია მაგიდაზე გადაყვითლებული გაზეთები, ხელნაწერები, მოგონებები – ესენი უკვე ჩემია. ჩემია, რამეთუ ქალბატონმა მერიმ, მე, მისი ვაჟის კოლეგასა და მეგობარს მისახსოვრა – სპეციალურად შენთვის გადავარჩიეო, რადგან მხოლოდ შენს საკუთარ არქივში მსურს იყოს ჩემი ნაღვაწიო.

...ნუთუ ასე გამოემშვიდობა თავის ჟურნალისტურ შემოქმედებას? ამით გამოემშვიდობა იმ ლამაზ წლებს, რომლითაც თავადაც ხარობდა და მკითხველსაც სიამოვნებას გვრიდა?.. იქნებ აქვს რაიმე ქვეტექსტები?..

„ნოდარ ჯაველიძე და მერი დიხამინჯია, (ქორწილის დღე).

...თავის უმდიდრეს მიბლიოთეკაში რატომღაც შტეფან ცვაიგის რჩეულის ის ტომი მოძებნა, რომელშიც დიდი მწერლის მართლაც გამორჩეული და ღრმადფილოსოფიური ნოველაა – „უცნობი ქალის წერილი“. აღარ ახსოვს მერამდენედ გადაიკითხა ახალგაზრდობიდან მოყოლებული. „როცა ამ წერილს წაიკითხავ, მე ცოცხალი აღარ ვიქნები?“ – გახსოვთ ალბათ რაზეცაა აგებული დიდი კლასიკოსის ეს ნოველა. აეკვიატა, მონუსხულივით იმეორებდა ამ სიტყვებს, იმეორებდა ღამით შვილთან „საუბრისას“, იმეორებდა წერისას, იმეორებდა მაშინ, როდესაც თეთრ იებსა და ვარდებს უგზავნიდა ლაშა თეთრი, ღაბუა მტრედების ფრთებით და წერდა, წერდა, წერდა რადგან, როდესაც ამას ვერ წაიკითხავდნენ ის უკვე აღარ იქნებოდა...

შტეფან ცვაიგის „მსოფლიო ქალბატონს“ სძლია ქრისტიანულმა მრწამსმა, სძლია ქართველმა დედამ, – მან უნდა იცოცხლოს, რადგან ქმარ-შვილს აქედან ემსახუროს, უნდა იცოცხლოს, რათა ერთადერთად დარჩენილ ვაჟს, პაატას და მის ოჯახს ეფეროს, უნდა წეროს სევდიანი, ცრემლიანი სტრიქონები, რადგან ამით უახლოვდება ლაშას სულს. ცხოვრების დევიზად უნდა გაიხადოს – „როცა ჩემს სტრიქონებს ვერ წაიკითხავ, მე ცოცხალი აღარ ვიქნები!“

მამუკა ვაშაკიძე

P.S. დედის ცრემლით მორწყულ მიწაზე იები ამოდიანო. ლაშას სახე შემოგვცქერის სქელ მინაში ჩასმული სურათიდან, ისეთი როგორიც ცხოვრებაში გახლდათ – მომღიმარი, თბილი, ვაჟკაცური, იმედიანი. დასველებულია მინის შიგნით სურათი, ზოლებად დასდევს წვეთები. „მირონიაო“ – მეუბნება ქალბატონი მერი, – „ჩემი ცრემლები რომ იყოს, იქ როგორ შეაღწევდაო“.

დედის ცრემლებზე თუ ია ამოდის, დედის ცრემლებს მირონად ქცევაც შეუძლია, დედის ცრემლებს წინ ვერაფერი დაუდგება, ის ღვთიურია, მაგრამ არა ამქვეყნიური, ზეციური, ის ხომ ღმერთისგანაა ნაკურთხი.

ქრისტე, აღდგა ქალბატონო მერი!

ჭეშმარიტად აღდგა!

გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს, გილოცავთ თქვენი კოლეგები, ნოდარ და ლაშა ჯაველიძეების მეგობრები. თქვენს წერილებს, ჩანაწერებსა და ია-იებით ცრემლად მოხატულ რეკვიემებს კიდევ ბევრჯერ წაიკითხავენ... რადგან, როდესაც ვეღარ წაიკითხავენ, უკვე ნანატრ საუფლოში იქნებით საყვარელ ადამიანებთან.

მ. ვ.

ქართველმა მძღოლებმა ევროპარლამენტი აალაპარაკეს!

გერმანიაში სატვირთო მანქანების გაფიცულმა მძღოლებმა გაიმარჯვეს. დამსაქმებელმა თანხა თითქმის ყველას გადაუხადა. ახლა მათმა პროტესტმა შეიძლება შეცვალოს კანონები მთელ ევროკავშირში.

„ეს მამაცი ხალხი საკუთარი უფლებებისთვის იბრძვის“!

„სატრანსპორტო სექტორში დაუფარავად ხდება ადამიანების ექსპლუატაცია“! „ევროკავშირში ყველა მშრომელს თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეს“!

18 აპრილს, ევროპარლამენტში გაკეთებული ეს განცხადებები მძღოლების ერთთვიანი გაფიცვის შედეგია. მათი ნაწილი უზბეკია, უმრავლესობა კი – ქართველი.

მარტის ბოლოს 65 კაცი პოლონელ დამსაქმებელს აუჯანყდა. მათ ორთვიანი დავალიანების გადახდა მოითხოვეს, მანქანები გერმანიის ქალაქ ვაიტერშტადთან გააჩერეს და იქიდან მოყოლებული არ დაძრულან. გაფიცულებს მალევე მხარი დაუჭირეს ადგილობრივმა მოსახლეობამ და პროფკავშირებმა. რამდენიმე კვირაა, პროტესტზე წერენ გერმანიის წამყვანი გაზეთებიც.

„ქართველ კაცს თუ ვინმეს სტუმართმოყვარეობა გამაკვირვებდა, არ მეგონა“, – ამბობს კობა კვანტალიანი. 44 წლის კაცი ადრე სოფელ კაზრეთში, ოქროს საბადოზე მუშაობდა. ტრაილერის მძღოლობა კი წინა წლის სექტემბრიდან დაიწყო. იგი **„აღფრთოვანებულია სოლიდარობით“,** რომელიც გერმანელებისგან იგრძნო.

ჰყვება, რომ ყოველდღე მოაქვთ საჭმელი, სასმელი, ჰპირდებიან გერმანიაში დასაქმებას. ერთმა წყვილმა გაფიცულებს ათი ათასი ევრო მოუტანა, რომელიც **„ძმურად გაიყვეს“.**

შრომითი ხელშეკრულებით, კობას საათში 80 ევრო ეკუთვნოდა და, წესით, თვეში 2000 ევროზე მეტი უნდა აეღო. მაგრამ დამსაქმებელი, პოლონური კომპანია „აგმაზი“, გამუდმებით პოულობდა ახალ-ახალ მიზეზებს მძღოლებისთვის თანხის გამოსაქვითად. მანქანები დაზღვეული იყო, მაგრამ თვის ბოლოს მაინც აჭრიდა 500-600, ხანდახან კი 1500 ევროს.

საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა ყველგან შეიძლება!

ორი თვის ხელფასი უკვე დაერიცხა, „დაზღვევად“ წარმომეული ფული – ჯერ არა. სანამ ყველას „უკანასკნელ ცენტამდე“ არ გაისტუმრებენ, მძღოლები მანქანებს არ დაამრუნებენ. **„რაც გავჩერდი, იმ დღიდან ვამბობდი, ან ყველაფერი, ან არაფერი“,** – ამბობს კობა.

ქართველებს ევროპაში უჭირთ

გაფიცულებმა თითქმის გაიმარჯვეს. მაგრამ ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში მათი წარმატება სათუო იყო. დამსაქმებელი ამბობდა, რომ მძღოლების არაფერი მართებს. 7 აპრილს თავზე შეიარაღებული ხალხი დააყენა და მანქანების წართმევა ძალით სცადა.

საქმეში პოლიცია ჩაერთო და თავდამსხმელები დაიკავა. ეს წყალგამყოფი გახდა. მომდევნო დღეებში მძღოლებმა ნელ-ნელა დაიწყეს კუთვნილი ხელფასის მიღება. მძღოლები ამბობენ, რომ მათი წარმატება ქართული პროფკავშირების დამსახურებაა. სწორედ მათ დააკავშირეს გერმანელ და ჰოლანდიელ კოლეგებთან და დაეხმარნენ გერმანიის ხელისუფლებასთან ამბის მიტანაში. 12 აპრილს, თბილისში, პოლონეთის საელჩოსთან „საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ“ სოლიდარობის აქცია გამართა. იმავე დღეს გაფიცულებთან ორგანიზაციის თავმჯდომარე, ირაკლი პეტრიაშვილი ჩავიდა.

„სხვა დროსაც გვქონია სხვადასხვა მასშტაბის პრობლემები, მაგრამ ასეთ ამაზრზენ დამსაქმებელს არასოდეს შევხვედრივართ. კრიმინალია, რეალურად კრიმინალია“, – უთხრა რადიო თავისუფლებას ირაკლი პეტრიაშვილმა წინა კვირაში.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ევროპაში სამუშაოდ წასული ქართველები მძიმე სამუშაო პირობებს უჩივიან. მაგალითად, 2021 წელს 24 ქართველი გერმანიისა და შვეიცარიის საზღვარზე მარწყვს კრეფდა. ამ მძიმე სამუშაოში დამსაქმებელი საათში დაახლოებით სამ ევროს უხდიდა, არადა, გერმანული კანონმდებლობის თანახმად, მინიმალური ანაზღაურება საათში 9,5 ევროა.

ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურის, ევროსტატის თანახმად, 2021 წელს ევროპაში მესამე ქვეყნების თითქმის 9 მილიონი ადამიანი მუშაობდა. 18 აპრილს, სტრასბურგში გამართულ სხდომაზე, არაერთმა ევროპარლამენტარმა აღიარა, რომ ევროპული კანონები შესაცვლელი და გასამკაცრებელია. დეპუტატების თქმით, მშრომელები არაკეთილსინდისიერი დამსაქმებლებისგან უკეთ უნდა დაიცვან.

იხ. 11 გვ.

◎ ტრიუმფი

ისევ ოქრო!

საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიო თასზე ეტლით ფარიკაობაში, ირმა ხეცურიანმა ოქროს მედალი მოიპოვა. ხმლით ფარიკაობაში ქართველმა ნახევარფინალში ჩინელი მოწინააღმდეგე ანგარიშით 15:2 დაამარცხა, ფინალურ ასპარეზობაში კი ტაილანდელ საისუნ იანას მოუგო 15:12 და პირველ ადგილზე გავიდა.

საფრანგეთის მსოფლიო თასზე ნინა თიბილაშვილი და გვანცა ზადიშვილიც გამოდიან. ჩვენი გოგონები ჯერ ინდივიდუალურად რაპირაში იასპარეზებენ, ხოლო შემდეგ – გუნდურ რაპირაში.

◎ ხალიჩაზე

კვარცხლბეკით დავიწყეთ



გერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატის სტარტზე ხუთმა ქართველმა ფალავანმა იასპარეზა, ოთხს კი მედლის შანსი აქვს: ერთი ოქროსთვის იბრძოლებს, სამი – ბრინჯაოსთვის.

63 კგ წონით კატეგორიაში ფინალშია ლერი აბულაძე, რომელმაც თურქი მეჰმეთ ჩეკერი (9:1) და ბულგარელი აბუ ამაევი (11:2) დაამარცხა, ოქროს მედლისთვის კი აზერბაიჯანელ ტალეჰ მამადოვს დაუპირისპირდება.

55 კგ წონითი კატეგორიაში ნუგზარ წურწუმიამ უკრაინელი ვიაჩესლავ ბაირაკტარი 10:0 დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში თურქ ადემ ბურაკ უზუნთან 3:13 წააგო, შესაბამისად, ბრინჯაოს მედლისთვის სომეხ რუდიკ მკრტიჩიანს შეხვდება.

87 კგ წონით კატეგორიაში ლაშა გობაძემ ხორვატი ივან ჰუკლეკის (9:0) და შვედი ალექს კესიდისის (6:0) ბარიერი დაძლია, ნახევარფინალში კი თურქ ალი ჯენგიზთან 1:3 წააგო, რის შედეგადაც ბრინჯაოს მედლისთვის გავა ხალიჩაზე.

130 კგ წონით კატეგორიაში ასევე ბრინჯაოსთვის იბრძოლებს იაკობ ქაჯაია, რომელმაც იტალიელი დანილა სოტნიკოვი (1:1) და უკრაინელი მიხაილო ვიშნივეცკი (7:1) დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში აზერბაიჯანელ საბაჰ სალეჰ შარიათისთან ბოლო ქულით წააგო (1:1).

77 კგ წონით კატეგორიაში უმედლოდ დარჩა იური ლომაძე, რომელმაც იტალიელ ლუკა დარიოცის (9:0) და ესპანელ მარკოს მეხიასს (10:0) იოლად აჯობა, მაგრამ მეოთხედფინალში უნგრელ ზოლტან ლევაისთან დამარცხდა (1:3), რომელიც ფინალში ვერ გავიდა და ქართველი რეპეშაჟს მიღმაც აღმოჩნდა.

◎ მუნდიალი

კალათებში განაწილდნენ

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრისთვის მე-6 კალათაში მოხვდა ჩინეთის, ლატვიისა და მექსიკის გუნდებთან ერთად.

მთლიანობაში 32 ნაკრები 8 4-გუნდიან კალათაში განაწილდა, რომლებიც ასეთია:



I კალათა: ფილიპინები, ესპანეთი, აშშ, ავსტრალია.
II კალათა: საფრანგეთი, სერბეთი, სლოვენია, ლიეტუვა.
III კალათა: საბერძნეთი, იტალია, გერმანია, ბრაზილია.
IV კალათა: კანადა, ვენესუელა, მონტენეგრო, პერუ.
V კალათა: ირანი, დომინიკის რესპუბლიკა, ფინეთი, ახალი ზელანდია.
VI კალათა: ჩინეთი, ლატვია, მექსიკა, **საქართველო.**
VII კალათა: იორდანია, იაპონია, ანგოლა, კოტ დივუარი.
VIII კალათა: ლიბანი, ეგვიპტე, სამხრეთ სუდანი, კაპო ვერდე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრების მეტოქეები მეორე, მეოთხე და მერვე კალათებიდან გაირკვევა. წილისყრის რეგულაციებიდან გამომდინარე, სხვა კალათიდან საქართველოსთან ჯგუფში ვერავინ მოხვდება და, მხოლოდ ზემოხსენებული 3 კალათის წარმომადგენლებთან შეხვედრა იქნება შესაძლებელი. ამ შემთხვევაში ისიც ცნობილია, რომ საქართველოს ნაკრები ჯგუფში მონტენეგროსთან ვერ მოხვდება, რომელიც მე-4 კალათაშია, რადგან მეორე კალათა მთლიანად ევროპულია და მონტენეგრო ერთ-ერთს შეხვდება, ჯგუფში ორ ევროპულ ნაკრებზე მეტის მოხვედრა კი არ შეიძლება.

წილისყრა 29 აპრილს გაიმართება და საქართველოს ნაკრების მეტოქეებიც გაირკვევა. ილიას ზუროსის გუნდი B, D, F ან H ჯგუფში მოხვდება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ისტორიაში პირველად ითამაშებს.

საკალათბურთო მუნდიალი 25 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდება. ტურნირზე ყველა ადგილი უნდა განაწილდეს, ამიტომაც, საქართველოს ნაკრები ასპარეზობას იმ შემთხვევაშიც გააგრძელებს, თუ პირველ ჯგუფურ ეტაპს ვერ გადალახავს.

◎ ოლიმპიზმი

პარიზის პოზიცია

თუ ომი 2024 წელსაც გაგრძელდება, რუს სპორტსმენთა პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე დაშვება არ შეიძლება, – ამის შესახებ პარიზის მერმა, ან იდალგომ უკრაინის პრეზიდენტთან, ვოლოდიმირ ზელენსკისთან შეხვედრისას განაცხადა.

„ჩვენ ოლიმპიური თამაშების ერთგულები ვართ. ჩემთვის პარიზი ადამიანის უფლებების დედაქალაქია და არა მხოლოდ ჩემთვის. ოლიმპიური მოძრაობის ღირებულებები, ჰუმანიზმის, ევროპის ღირებულებები ძალიან მნიშვნელოვანია. 2024 წელს, შემდეგ ოლიმპიურ თამაშებზე პარიზში, ომი თუ გაგრძელდება, რუსების თავდასხმა თუ თქვენზე კვლავ გაგრძელდება, ეს ნიშნავს, რომ ისინი თავს გვესხმიან ჩვენ და ჩვენს ღირებულებებს. ჩემი აზრით, რუსი სპორტსმენების პარიზში მიღება არ შეიძლება, თუ ომი გაგრძელდება. ამიტომ ვართ აქ. ჩვენ ვცდილობთ, დავარწმუნოთ სპორტსმენები, საერთაშორისო ფედერაციები და ქვეყნები. ჩვენ თქვენ გვერდით ვართ, მხარს გიჭერთ ამ მრძოლაში. თქვენ შეგიძლიათ, გქონდეთ პარიზისა და ჩემი იმედი“, – განაცხადა ან იდალგომ.

პარიზის მერი ან იდალგო და ევროკავშირის რეგიონების კომიტეტის პრეზიდენტი ვასკო კორდეირუ უკრაინაში ქალაქებისა და რეგიონების საერთაშორისო სამიტის ფარგლებში იმყოფებიან. უკრაინის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ან იდალგოს პარიზის მიერ ათობით ათასი უკრაინელი ლტოლვილის შეფარებისთვის და უკრაინისთვის გამოყოფილი ჰუმანიტარული დახმარებისთვის.

შეხვედრისას ზელენსკიმ საფრანგეთის დედაქალაქის მერს გადასცა „გადამრჩენელი ქალაქის“ ჯილდო, რომელიც უკრაინის პრეზიდენტის განკარგულებით პარიზს მიენიჭა.

პირველი მარცხი

◎ ოვალური ბურთი

„შავმა ლომმა“ სამხრეთამერიკული ტურნეს ფარგლებში, მონტევიდეოს გარეთ დაგეგმილი ერთადერთი მატჩი არგენტინაში, „პამპასთან“ გამართა, რომელიც არგენტინის მეორე-მესამე ნაკრებთა ნაზავს წარმოადგენს და წააგო – 21:24.

შეხვედრა ბუენოს აირესში დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. „შავი ლომი“ პირველ ტაიმში უპირატესობას ფლობდა და რამდენიმე ლამაზი შეტევა განახორციელა. სწრაფი იერიშები მეორე ტაიმშიც იყო, თუმცა შესვენების შემდეგ მსაჯი ხშირად გვაჯარიმებდა და დიდი ხნის განმავლობაში უბურთოდ დავრჩით.

სწრაფი, მებრძოლი და შემტევი გუნდი იყო მეტოქეც და მთლიანობაში, „შავ ლომს“ კარგი ტესტი გამოუვიდა. მისი მსვლელობიდან გამომდინარე, გამარჯვებას სტუმრები იმსახურებდნენ, მაგრამ რამდენიმე სალელოვე შეტევა ტექნიკური წუნის თუ უდისციპლინობის გამო გამოუყენებელი დარჩა.

მოგება თვითმიზანი რომ არ იყო, იმითაც დასტურდება, რომ „შავმა ლომმა“ ხელსაყრელი პოზიციებიდან 3 ქულის აღებას, კომბინაციებით თამაში არჩია და ხარისხიანადაც ივარჯიშა. თავის მხრივ, „პამპასს“ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე გამარჯვება სურდა და გადამწყვეტი ქულებიც კარში დარტყმებით მოიხვეჭა.

სამწუხაროდ, მატჩის დებიუტშივე დაშავდნენ და შესაცვლელი გახდნენ ლაშა ხმალაძე და ნიკო აფციაური, რამაც ჩვენი თამაში არია. დაზიანებები „შავი ლომის“ მორაგბეებმა მერეც მიიღეს და მათი სიმძიმისა და ხარისხის შესახებ ინფორმაციას უახლოეს მომავალში მოგაწვდით.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა და „შავ ლომში“ სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა ბორჯღალოსანმა მიხეილ ნარიაშვილმა. ტრავმის შემდეგ გუნდის ძირითადში პირველად იყო გრიგორ ქერდიყოშვილი.

ჩვენი შერკინება მეტოქისას უმეტეს შემთხვევებში ჯაბნიდა. უპირატესობა გვქონდა მოლშიც. თენგიზ პერანიძეს რაქიდან ბურთი სწრაფად გაჰქონდა და ხაზი სისწრაფეზე თამაშობდა. ლამაზი კომბინაციებით, რომელშიც ფაქტობრივად მთელი ხაზი იყო ჩართული, უპირატესობის მოპოვება ბევრჯერ მოხერხდა და ბურთით ხელში მეტოქეზე ბევრად მეტი მეტრიც მოვიგეთ, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში იყო ხარვეზებიც.

ორივე გუნდი ხშირად იყენებდა ფეხით ტაქტიკურ დარტყმებს და აქ უპირატესობას „პამპასი“ ფლობდა. მათ ასევე რამდენჯერმე მოახერხეს საწყისი ბურთის აღება და რაქებშიც შეგვიქმნეს პრობლემები.

როდესაც პოლიციელი გაჩერებს!

ალგათ ხშირად შეამჩნევდით საქართველოს დიდი ქალაქების ქუჩებში სამართალდამცველების (რიგ შემთხვევებში, შავი ფერის სამოქალაქო სამოსში გამოწყობილების) მიერ შეჩერებულ მოქალაქეებს, უმეტესად მამაკაცებს, მათ შორის არასრულწლოვნებს, რომლებსაც ფოტოებს უღებენ, უსვამენ კითხვებს.

მსგავსი გამოცდილების მქონე ახალგაზრდები საუბრობენ ხოლმე ძალოვანი უწყების წარმომადგენლების მხრიდან გამომწვევ ქცევაზე, არაეთიკური ლექსიკის გამოყენებაზე, სხვადასხვა ხარისხის დარღვევებზე. თუ პირი საკუთარი უფლებების შესახებ არ არის ინფორმირებული, ჭარბობს ემოციური ფონი, ცდილობს, არასასურველ კომუნიკაციას მალე დააღწიოს თავი, მოვლენები კი შესაძლოა, მისთვის არასასურველი სცენარით განვითარდეს.

მსგავს „ქეისებს“ იცნობენ „სოციალური სამართლიანობის ცენტრშიც“. როგორც იურისტი მარიამ პატარიძე გვიყვება, ორი ახალგაზრდა, რომლის ინტერესებსაც ორგანიზაცია იცავს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე ჯერ შეაჩერეს, შემდეგ კი შეჩერება ადმინისტრაციული მუხლით დაკავებაში გადაიზარდა. ინციდენტი 8 მარტს მოხდა – იმ დროს, როდესაც ქვეყანაში „აგენტების“ შესახებ არაკონსტიტუციურ კანონპროექტებთან დაკავშირებით საპროტესტო ტალღა აგორდა.

„ეს ის დღე არის, როდესაც „ქალთა მარში“ ჩატარდა. მარში 15:00 საათზე დაიწყო, შემდეგ მას სტუდენტები შეუერთდნენ დაახლოებით 17:00 საათისთვის. მთავარი აქცია 19:00 საათზე უნდა გამართულიყო (პარლამენტის შენობის წინ – რედ). ჩვენი მენეფიციარები პოლიციამ დააკავა მეტროს სადგურ „თავისუფლების“ წინ. პირველ ეტაპზე მათ ჩაუტარეს ზედაპირული დათვალიერება, გადაუღეს ფოტოები. იმ დღეს შსს-მ გაავრცელა განცხადება, რომ 10 პირი დააკავეს, „რომლებსაც ჰქონდათ კანონით აკრძალული ნივთებიო“. რეალურად, ერთ-ერთი ჩვენი მენეფიციარის ნივთები იყო: ყვითელი ფერის ბოლი, სათვალე და პირბადე. ამ ნივთების ფოტოებიც თან ერთვოდა შსს-ს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებას, როგორც „კანონსაწინააღმდეგო ნივთები“, ხოლო დაკავების ოქმში აღნიშნულია, რომ კონკრეტულად ეს ნივთები, რაც ჩვენს მენეფიციარს ჰქონდა, კანონსაწინააღმდეგო არაა. შესაძლოა, პოლიციელებს ჰქონდათ მოლოდინი, რომ ეს ყვითელი ფერის ბოლი რაიმე სახის ფეთქებადი საშუალება იყო, არ დაელოდნენ შემოწმებას და სწრაფადვე აცნობეს საზოგადოებას, რომ „მნიშვნელოვანი“ ღონისძიება გაატარეს. შემდეგ უკვე სამართალდარღვევის ოქმში მიუთითეს, თითქოს ისინი შეურაცხყოფას აყენებდნენ პოლიციის თანამშრომელს, თუმცა ამის არანაირი მტკიცებულება, არც სამხრე ვიდეოკამერის ჩანაწერი, არც გარე პერიმეტრიდან ან მედიიდან ამოღებული ვიდეომტკიცებულება არ არსებობს. უბრალოდ, როდესაც აღმოაჩინეს, რომ კონკრეტული ნივთები კანონსაწინააღმდეგო არ იყო, დილის 06:30 სთ-ზე გათავისუფლეს (დააკავეს საღამოს ექვსის წუთებზე). ეს დაკავება იყო სრულიად უკანონო და რეალურად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი არც ჰქონია“, – იხსენებს პატარიძე.

ერთ-ერთის საქმეზე სასამართლომ უკვე მიიღო დადგენილება და სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლა, ხოლო მეორე საქმე ჯერ დასრულებული არაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრე ვიდეოკამერის ჩანაწერის არარსებობას მსგავს საქმეებში ადვოკატები გავრცელებულ პრობლემად ასახელებენ: **„დამივარდა, გამოირთო, გაფუჭდა – მსგავს არგუმენტებს ასახელებენ პოლიციელები პასუხად, თუ რატომ არ არსებობს ნეიტრალური მტკიცებულება. რეალურად, ეს უნდა იყოს ერთ–ერთ მთავარი ობიექტური მტკიცებულება, რასაც სასამართლო უნდა ეყრდნობოდეს და არა პოლიციელის ჩვენება. იგივე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როდესაც არ არსებობს ვიდეომტკიცებულება, პოლიციელის მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებას ნაკლებად სარწმუნო მტკიცებულებად განიხილავს, რადგან არსებობს თვითნებობის რისკები პოლიციის ქმედებებთან მიმართებით. ძალიან ხშირად, მხოლოდ ერთი დამკავებელი პოლიციელის ჩვენება საკმარისია, რომ მოსამართლემ თქვას, რომ პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა მოხდა“.**

მაინც რა უნდა ვიცოდეთ საკუთარი უფლებების შესახებ, რათა შევძლოთ საკუთარი თავის დაცვა:

- **უპირველესად, მსგავს ვითარებაში იურისტების რჩევაა, შევინარჩუნოთ სიმშვიდე; როდესაც პოლიციელი კომუნიკაციას ამყარებს, საწყის ეტაპზევე უნდა წარმოგვიდგინოს თავი;**
- **თუ მას უნიფორმა არ აცვია, უნდა მოვთხოვოთ სამსახურეობრივი მოწმობის წარმოდგენა, რათა დავრწმუნდეთ, რომ ნამდვილად სამართალდამცველს ვესაუბრებით და დავადგინო მისი ვინაობა;**
- **თუ პირი, რომელიც ჩვენთან კომუნიკაციას ამყარებს, საპატრულო პოლიციის წარმომადგენელია, შეგვიძლია, მოვთხოვოთ სამხრე კამერის ჩართვა, ხოლო თუ არ არის (მაგალითად, კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები არ არიან აღჭურვილნი სამხრე ვიდეოკამერებით), უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში თავად გვაქვს კომუნიკაციის გადაღების უფლება;**
- **ვკითხულობთ ჩვენი შეჩერების მიზეზს;**
- **პოლიციელს უფლება აქვს, „გონივრული ვარაუდის“ საფუძველზე, გასაუბრების მიზნით შეაჩეროს პირი, მაგრამ თუ პირის იდენტიფიცირება ხდება – აწვდის პოლიციელს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს (ან ეუბნება პირად ნომერს), მას აღარ აქვს ფოტოს გადაღების უფლება, რადგან იდეაში, მსგავსი ქმედების მიზანი პირის იდენტიფიცირებაა;**
- **როდესაც არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ პირი შესაძლოა, ატარებდეს კანონსაწინააღმდეგო ნივთს, პოლიციელს უფლება აქვს განახორციელოს ზედაპირული შემოწმება;**
- **ზედაპირული შემოწმება არსებითად განსხვავდება ჩხრეკისგან. პირველის შემთხვევაში პოლიციელი ზედაპირული ხელის შეხებით ამოწმებს, პირს აქვს თუ არა მაგალითად, იარაღი და არ აქვს ჯიბეში ხელის ჩაყოფის უფლება;**
- **სამართალდამცველს ჩხრეკის უფლება აქვს სასამართლოს ნებართვის შემთხვევაში და გადაუდებელი აუცილებლობისას, რაც სისხლის სამართლის კოდექსით რეგულირდება. ეს ქმედება ხორციელდება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების და არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფარგლებში;**
- **ჩხრეკის დროს უფლება გვაქვს, მოვითხოვოთ მოწმეთა დასწრება. მხოლოდ ჩხრეკის დროს ამოღებული ნივთი და პოლიციელის ჩვენება აღარ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენისთვის, თუ იყო შესაძლებლობა ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების – მაგალითად, ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღება, ნეიტრალური მოწმეების მოწვევა;**
- **თუ პოლიციელი გვაჩერებს და გვეუბნება, რომ გამოკითხვის მიზნით უნდა გადაგვიყვანოს განყოფილებაში, უნდა ვიცოდეთ, რომ გამოკითხვა ნებაყოფლობითია. თუ სისხლის სამართლის საქმეზეა გამოძიება დაწყებული, შესაბამისი უწყება უნდა მოგვივიდეს გამოკითხვაზე გამოძახების თაობაზე. შეგვიძლია, უარი ვთქვათ განყოფილებაში გადასვლაზე, არ აქვთ იძულებით გადაყვანის უფლება. შეგვიძლია, განვაცხადოთ, რომ „არ ვენდობით საგამოძიებო უწყებას და უფრო დაცულად ვიგრძნობ თავს, თუ ინფორმაციას მოსამართლის წინაშე მივაწვდით საგამოძიებო უწყებას“;**
- **იმისთვის, რომ პირს შეეფარდოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა (პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა), აუცილებელია, პოლიციელის მიერ წამოყენებული მოთხოვნა იყოს კანონიერი, ანუ ჩადიოდეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. პატარიძე იხსენებს, რომ ხშირად ამ მუხლს იყენებენ წვრილმან ხულიგნობასთან კომბინაციაში, „პირი ილანძღებოდა, ჩვენ მოვუწოდეთ, შეეწყვიტა ლანძღვა-გინება, მან კვლავ განაგრძო და შემდეგ უკვე დავაკავეთ, როგორც წინააღმდეგობის გაწევისთვის, ასევე კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვისაცო“. მაგალითად, მარტის აქციებთან დაკავშირებით სასამართლომ პოლიციის შეურაცხყოფად ჩათვალა „მონებო და რუსებო“;**
- **უნდა გვახსოვდეს, რომ გვაქვს უფლება დავრეკოთ შსს-ს გენერალურ ინსპექციაში ნომერზე – 126, თუ ვეჭვობთ, რომ პოლიციელის მხრიდან გადაცდომას აქვს ადგილი, მაგრამ მოვძებნოთ ფორმულირება, რათა შემდეგ ჩვენს წინააღმდეგ არ იყოს გამოყენებული მაგალითად „ცრუ დასმენის“ ბრალდება. ამდენად, შეგვიძლია, განვაცხადოთ, „მაქვს გონივრული საფუძველი, ვიფიქრო, რომ ჩემს მიმართ სავარაუდო უკანონო ქმედება ხორციელდება“.**

დააკავეს „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი მეთაური

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შედეგად, სასამართლო განჩინების საფუძველზე, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი დაჯგუფების მეთაური, საქართველოს მოქალაქე მალხაზ პაქსაშვილი დააკავა, – ამის შესახებ ინფორმაციას სუს-ი ავრცელებს.

„კონტრტერორისტული ცენტრის, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ღონისძიებების შედეგად გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირმა საქართველო 2013 წელს დატოვა, სირიაში გაემგზავრა და ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოს“ შეუერთდა.

2013-2015 წლებში იგი ე.წ. სამხედრო ემირების, ძმებ ცეზარ და ცისკარა ტოხოსაშვილების დაჯგუფებაში ირიცხებოდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ თავდასხმებსა და სამხედრო ოპერაციებში. დაკავებულს მჭიდრო კავშირი ჰქონდა „ისლამური სახელმწიფოს“ მაღალი რანგის სამხედრო მეთაურებთან და აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის ერთ-ერთი დაჯგუფების, ე.წ. ნაიბის პოზიციას იკავებდა.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარებას. დანაშაული სასჯელის სახით 10-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აგრძელებს მრძოლას საერთაშორისო ტერორიზმთან. საქართველო რჩება საერთაშორისო კონტრტერორისტული სისტემის ერთ-ერთ აქტიურ წევრად და საიმედო პარტნიორად“, – აღნიშნულია სუს-ის ინფორმაციაში.

ქართველმა მძღოლებმა ევროპარლამენტი აალაპარაკეს!

(მეცხრე გვერდიდან)

სამუშაო ვიზის იმედად...

სამართლიანობის აღდგენა კი კარგია, მაგრამ მძღოლებმა არ იციან, რა ბედი ეწევათ შემდეგ.

„პოლონეთში ველარ ვიმუშავებ. ეს (დამსაქმებელ) ყველაფერზეა წამსვლელი“, – ამბობს კიდევ ერთი გაფიცული, ვასილ იჭირაული.

35 წლის კაცი საქართველოდან 2017 წელს წავიდა და ბოლო ხუთი წელი სატვირთო მანქანაში იცხოვრა. ცოლი, შვილი და პენსიონერი მშობლები ორი წელია არ უნახავს, მაგრამ დაბრუნება არ შეუძლია, რადგან ოჯახი უნდა არჩინოს.

საქართველოში ბიზნესი ჰქონდა – რუსეთიდან მანქანები ჩამოჰყავდა. მაგრამ ხან უმართლებდა, ხან არა. ყოფილა, რომ თვის ბოლოს „ნოლზე დარჩენილა“.

„საქართველოში არაფერი შემოსავალი არაა. შვიდმაგად გაიზარდა ფასები... ორი თვეა, ფული არ მაქვს გაგზავნილი ოჯახისთვის. ვფიქრობ, ჩვენ კისერზეა საქართველოს მოსახლეობა, ვინც აქეთ ვართ წამოსულები“, – ამბობს იგი.

მასაც და დანარჩენ მძღოლებსაც ახლა იმედი აქვთ, რომ გერმანია სამუშაო ვიზას მისცემთ და 65 ოჯახი შემოსავლის გარეშე არ დარჩება. კობა კვანტალიანი კი კმაყოფილია იმით, რომ ევროპული დემოკრატია საკუთარ თავზე იგრძნო და იგივე უნდა საქართველოსთვის.

„გერმანელ ჟურნალისტებს ვუთხარი, რომ არავითარი განსხვავება არაა საქართველოსა და პოლონეთს შორის, დემოკრატიის მხრივ. პოლონეთი თუ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, საქართველო აუცილებლად იმსახურებს კანდიდატის სტატუსს მაინც“, – ამბობს ის.

სანდრო გვინდაძე,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲮᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲘᲜᲓᲡᲔᲠᲤᲔᲠᲘ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ პენსიონერი პიოტრ დუდეკი 88 წლისაა და იმედი აქვს, **რომ მსოფლიოს ყველაზე ხნიერი ვინდსერფერის საპატიო სტატუსს მიიღებს. თავისი ასაკის მიუხედავად, აფრიან დაფას ოსტატურად მართავს და ამ საქმეს, შავშვებს ასწავლის.**

ის უკვე 40 წელია, რაც ვინდსერფინგით არის დაკავებული და მას მეტსახელ „იუნიორით“ მიმართავენ. ეს სახელი მეგობრებს დაურქმევიათ, როცა ის 80 წლის ყოფილა.

„გამოწვევაა ტალღებზე ცურვის ათვისება და აფრიანი დაფის მართვა. ყოველთვის რთულია ქართან და წყალთან ურთიერთობა, როცა სიფრიფანა დაფაზე დგახარ. მაგრამ თუ ყველაფერს გაკონტროლებ და სერფინგს შეძლებ, უზარმაზარ სიამოვნებას მიიღებ. ვინდსერფინგით ჯანმრთელობისთვის ვარ დაკავებული და მჯერა, რომ ეს სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის საუკეთესო გზაა,“ – ამბობს დუდეკი. იგი ბალტიისპირა ქალაქ გდინიაში ცხოვრობს და ვარჯიშობს. ის ასაკთან დათმობაზე მხოლოდ მაშინ მიდის, როდესაც ქარი ძლიერდება და ამ დროს, წყალს არ ეკარება. მისი სტიქია ზომიერი ბრიზია. მას გაუკვირდა, როდესაც გაიგო, რომ მსოფლიოში ყველაზე ხნიერი სერფერია.

„არ ვიცოდი, რომ მსოფლიოში ყველაზე ხნიერი სერფერი ვარ. ახლა ვფიქრობ, რომ გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრას შევძლებ“, – ამბობს დუდეკი, ვისაც ერთ კვირაში 89 წელი შეუსრულდება. ის ამბობს, რომ გაზაფხულზე ორჯერ ცურვა სჭირდება იმისთვის, რომ გინესის რეკორდების წიგნში შევიდეს. ეს რეკორდი ამჟამად 86 წლის ვინდსერფერს ეკუთვნის. როგორც კი მოთხოვნას შეასრულებს, დამოწმებულ შეტყობინებას გინესის წიგნის გამომცემლებს გაუგზავნის.

ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐ ᲐᲚᲪᲰᲐᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲪᲐᲕᲡ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ მიზნის დასახვა იცავს ტვინის ფუნქციონალობას, **იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანის სტრესისა და ტრავმების გადატანა უწევს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოტივირებულ ადამიანებთან საშუალო ასაკში კოგნიტიური ფუნქციები უკეთ არის განვითარებული და, შესაბამისად, ალცჰაიმერის დაავადების განვითარების ალბათობა ნაკლებია.**

ასეთ დასკვნამდე ბარსელონის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ, რომელმაც ამ მიზნით 624 ადამიანის მონაწილეობით კვლევა ჩაატარეს. კვლევის მონაწილეთა საშუალო ასაკი 53 წელი იყო. მოხალისეები ორ ჯგუფად გაყვეს, ცხოვრებაში მაღალი მოტივაციისა და დასახული მიზნის არსებობის მიხედვით. ამის შემდეგ მეცნიერებმა მოხალისეების კოგნიტიური შესაძლებლობები შეადარეს და ტვინის სკანირება ჩაატარეს. როგორც აღმოჩნდა, მიზანდასახულ ადამიანებთან ტვინის პასიური რეჟიმის მუშაობის ქსელის გარკვეული კავშირები უკეთ არის ერთმანეთთან შერწყმული, რასაც კოგნიტიურ მაჩვენებლებზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია.

ᲯᲔᲠ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ - ᲐᲮᲚᲐ ᲨᲢᲝᲠᲛᲘ...

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ პროვინცია კაჰრამანმარასს, **სადაც თებერვალში დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა, ძლიერი შტორმი დაატყდა თავს.**

თურქეთის ჯანდაცვის მინისტრის ფაჰრეტინ კოჩას განცხადებით, ძლიერი შტორმისა და წვიმის შედეგად კაჰრამანმარაშის რეგიონში 1 ადამიანი დაიღუპა და 50 დაშავდა.

ძლიერმა ქარიშხალმა კარვების ქალაქი გაანადგურა, სადაც მიწისძვრის შედეგად დაზარალებულები იმყოფებოდნენ. დაზიანებულ შენობებს სახურავები ახადა და ხეები მოგლიჯა. თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სულეიმან სოილუმ განაცხადა, რომ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ პროვინციებში 2,6 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ ᲐᲑᲣᲚᲘᲜᲒᲔᲑᲓᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ვიცე-პრემიერი, **იუსტიციის მინისტრი დომინიკ რააბი ბულინგში ბრალდებების გამო თანამდებობა დატოვა, თუმცა ბრალდებებს არ ეთანხმება.**

რააბმა თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც დამოუკიდებელმა გამოძიებამ მართებულად მიიჩნია ორი სახელმწიფო მოხელის განცხადებები, რომლებიც დომინიკ რააბს ბულინგში ადანაშაულებდნენ და აცხადებდნენ, რომ იუსტიციის სამინისტროში მუშაობის პერიოდში რააბი აგრესიულად იქცეოდა, თანამშრომლების დაშინებას ცდილობდა და შეურაცხმყოფელ კომენტარებს აკეთებდა მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ. ბრიტანულ მედიაში გავრცელდა რამდენიმე ბრალდება, რომელთა მიხედვითაც, რააბმა სხვადასხვა სამთავრობო დეპარტამენტში შიშის კულტურა შექმნა და თანამშრომლებს თავისი სალათიდან პომიდვრებს ესროდა. რააბის განცხადებით, ასეთი გამოძიებები სახიფათო პრეცედენტს ქმნის, ვინაიდან, როგორც რააბი აცხადებს, „მინისტრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გააკრიტიკონ საკადრო ჩინოსნების მუშაობა“. რააბის თქმით, მომავალში უკმაყოფილო მოხელეები შეძლებენ, მოიშორონ მათთვის არასასურველი მინისტრები ბულინგის შესახებ დაუსაბუთებელი ბრალდებებით.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ

ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ 15 მილიონ დოლარად ღირებული ოქროს მოპარვის საქმეს იძიებენ. **ონტარიოს პროვინციაში მოპოვებული ოქროს გადასაზიდად ხშირად ონტარიოს აეროპორტს იყენებენ.**

კონტეინერი, 15 მილიონი დოლარის ღირებულების ოქროთი, ონტარიოს აეროპორტში საღამოს მიიტანეს, რის შემდეგაც ის შემნახველ ობიექტში გადაიტანეს. ქვეყნის საგამოძიებო უწყების ცნობით, ოქრო, სავარაუდოდ, სწორედ ამ ადგილიდან მოიპარეს. კანადის ხელისუფლების განმარტებით, ეს ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ქურდობაა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲞᲐᲢᲘᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
ᲙᲐᲮᲐ ᲫᲝᲠᲘᲫᲔ

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲦᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 26 Ა�პᲠᲘᲚᲡ

ᲝᲚᲝᲜᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲔᲠᲘᲓᲔᲑᲐ

ᲞᲔᲠᲣᲡ ყოფილი პრეზიდენტი ალეხანდრო ტოლედო აშშ-ის სამართალდამცავ ორგანოებს ჩაბარდა, რათა უახლოეს მომავალში სამშობლოში მისი ექსტრადირება მოხდეს.

სამშობლოში 77 წლის ტოლედოს პრეზიდენტობის პერიოდში (2001-2006) ბრაზილიური სამშენებლო კომპანიისგან ქრთამის სახით 20 მილიონი დოლარის აღებაში ადანაშაულებენ. პროკურატურა მისთვის 20-წლიან პატიმრობას ითხოვს.

პერუს საგამოძიებო ორგანოების მტკიცებით, ტოლედომ კომპანია Oderecht-ისგან მილიონობით დოლარი მიიღო, ამის სანაცვლოდ კი კომპანია სახელმწიფო ტენდერებს იგებდა.

პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ ტოლედო აშშ-ში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე წელი ცხოვრობდა. 2018 წელს პერუმ აშშ-ის ტოლედოს დაკავებისა და ექსტრადირების მოთხოვნით მიმართა, რის შემდეგაც 2019 წელს ტოლედო კალიფორნიაში დააკავეს. 2020 წელს ის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს და შინა პატიმრობაში გადაიყვანეს.

ტოლედო აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს, თუმცა კალიფორნიულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პერუს ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ „არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება იმის დაშვება, რომ ტოლედომ დანაშაული ჩაიდინა“. რამდენიმე დღის წინ ტოლედოს ადვოკატებმა მისი ექსტრადირების მლოკირება სცადეს და განაცხადეს, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში ექსპრეზიდენტის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება, თუმცა სასამართლომ მათი აპელაცია არ დააკმაყოფილა. პერუს ექსპრეზიდენტის სამშობლოში ექსტრადირება რამდენიმე დღეში იგეგმება.

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.5105; ᲔᲕᲠᲝ - 2.7533;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.1085;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 3.0807; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1294;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.4789;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.4871

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 24 ᲐᲪᲠᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+9,	ᲓᲦᲔ	+23
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+6,	ᲓᲦᲔ	+20
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+7,	ᲓᲦᲔ	+16
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+3,	ᲓᲦᲔ	+17
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+14,	ᲓᲦᲔ	+22

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge